ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ემზარ კვიციანი: „კანონებში რაღაც კავკასიური უნდა შევიტანოთ“



გვ.3

„არ გვინდა, „ოცნების“ სპექტაკლში მონაწილეობა მივიღოთ“

**1 მარტიდან**

რეზო თაბუკაშვილი

**13 დღე**




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ოთხშაბათი, 1 მარტი, 2017 №50 (7285) ფასი: 50 თეთრი

# ციანიდის შოვნა დეკანოზ გიორგი მამალაძეს შორენა თეთრუაშვილმა სთხოვა?

ადვოკატი: „მამა გიორგი კითხვებზე პასუხს მანამდე არ გასცემს, სანამ მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოება დაცული არ იქნება“

გვ. 2







## რატომ დაკითხა მეუფე პეტრე პროკურატურამ

## მამუკა არეშიძე: „აფხაზეთის რკინიგზაზე ოპოზიციამ ხელოვნური აჟიოტაჟი ატეხა“

გვ.5




## დავით დარჩიაშვილი: „ხელისუფლებას სიმბოლური პრეზიდენტი სჭირდება“



გვ.3




## აზერბაიჯანმა საქართველოს ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტისთვის 630 მილიონი დოლარი გამოუყო

## ლარის გამყარება ლარიზაციის გეგმას არ უკავშირდება



გვ.6



ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ციანიდის შოვნა დეკანოზ გიორგი მამალაძეს შორენა თეთრუაშვილმა სთხოვა?

## რატომ დაკითხა მეუფე პეტრე პროკურატურამ

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმე კიდევ უფრო ჩაიხლართა. მთავარი პროკურატურა ამ საქმეზე რამდენიმე პირის დაკავებას არ გამორიცხავს.

საქმის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია დაკითხვაზე მეუფე პეტრეს დაბარება იყო.

ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა რამდენიმე მაღალი იერარქიის სა-

ჭყონდიდელი მიტროპოლიტი თავის განცხადებებს არ ნანობს და ამბობს, რომ ამის გაკეთება აუცილებელი იყო.

– მე ჩავთვალე ღვთისა და ჩემი სინდისის წინაშე, რომელიც ასევე პატარა ღმერთია, ხმა ამემაღლებინა უსამართლობის წინააღმდეგ. ჩემი პოზიციის გამო მზად ვარ, ნებისმიერ წინა-

პირებსაც, რომელთა განცხადებებმაც საზოგადოება შეცდომაში შეიყვანა. ასევე კარგი იქნება, თუკი ცილისწამება აღიქმება დანაშაულად და ამაზეც აგებენ სხვადასხვა განცხადების ავტორები პასუხს, – განაცხადა მეუფე პეტრე ცაავამ.

* * *

ციანიდის სკანდალის შემდეგ





**ადვოკატი: „მამა გიორგი კითხვებზე პასუხს მანამდე არ გასცემს, სანამ მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოება დაცული არ იქნება“**

სულიერო პირზე ბოლო დღეებში არაერთი სკანდალური განცხადება გააკეთა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა მამა გიორგი მამალაძე საპატიმრო დაწესებულებაში მოინახულა. ის იყო პირველი სასულიერო პირი, რომელმაც მამა გიორგის გათავისუფლება მოითხოვა და თავდებშიც დაუდგა.

მეუფე პეტრემ მამა გიორგის მონახულება მეორედაც ცადა, თუმცა ის აღარ შეუშვეს. ეპისკოპოსმა მაშინ განაცხადა, რომ ეს შეხვედრა პატრიარქის მდივან- რეფერენტმა შორენა თეთრუაშვილმა ჩაშალა.

მიტროპოლიტი დაკითხვაზე პროკურატურაში გუშინ, 28 თებერვალს, 11 საათზე დაიბარეს. მეუფე პეტრე დათქმულ ვადაზე საგამოძიებო უწყებაში არ მივიდა. მან დაკითხვა სასამართლო წესით მოითხოვა. პროკურატურა ამ დათმობაზე არ წავიდა და მეუფეს ჩვენების მისაცემად უკვე 15 საათზე უხმო.

თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ მიტროპოლიტი დაკითხვაზე მამა გიორგის ჩვენების საფუძველზე დაიბარეს. ამ ინფორმაციას არ ადასტურებს დაკავებულის ადვოკატი.

– მამა გიორგიმ დაკითხვაზე მეუფე პეტრეზეც ისაუბრა, თუმცა მას ეპისკოპოსი ისეთ კონტექსტში არ უხსენებია, რომ ეს გამხდარიყო მისი დაკითხვაზე დაბარების მიზეზი, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ.

მართალია, მეუფე პეტრეს სასამართლოს წესით ერჩივნა დაკითხვა, მაგრამ პროკურატურის გადაწყვეტილებაში უცნაური ვერაფერი შენიშნა. მისი თქმით, ამ ბოლო დროს იმდენი განცხადება გააკეთა, რომ პროკურატურა უნდა დაინტერესებულიყო.

– ჩემ მიერ გაკეთებული მინიშნებებიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ პროკურატურას შეკითხვები გაუჩნდა და შეხვედრა მთხოვეს. არა მგონია, ეს დაკითხვა იყოს, უფრო გასაუბრების ფორმატია, – განაცხადა პროკურატურაში მისვლამდე მეუფე პეტრემ.

აღმდეგობას შევხვდე, – აღნიშნა მიტროპოლიტმა.

პროკურატურაში შესვლამდე მან რამდენიმე სკანდალური განცხადება გააკეთა და მედიას წარუდგინა შეტყობინება, საიდანაც ჩანს, რომ ეპისკოპოსს საჯარო განცხადებების გაკეთებისგან თავის შეკავებას ურჩევენ. შეტყობინების ავტორი სასულიერო პირს აფრთხილებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალდების ადრესატი, შესაძლოა, თავად მეუფე გახდეს.

მეუფე პეტრემ კიდევ ერთხელ ისაუბრა საპატრიარქოს ჩრდილოვან მმართველზე. ჩრდილოვან მმართველად ის შორენა თეთრუაშვილს ასახელებს. ეპისკოპოსის განცხადებით, მალე გაირკვევა, მართავს თუ არა ჩრდილოვანი ხელი პროკურატურას.

პროკურატურის მთავარმა მოწმე ირაკლი მამალაძემ გადაცემა ,,რეაქციაში“ გუშინ განაცხადა, რომ ვაიბერმიმოწერა, რომელიც მეუფე პეტრე ცაავამ დაკითხვაზე შესვლამდე ჟურნალისტებს მიაწოდა, შემოგდებულია.

მამალაძის თქმით, მეუფე პეტრე საქმეში არსებულ მტკიცებულებებში საერთოდ არ ფიგურირებს და, შესაბამისად, მის წინააღმდეგ საქმეს ვერავინ შეკერავს.

* * *

ჭყონდიდელი მიტროპოლიტის დაკითხვა რამდენიმე საათი გაგრძელდა. პროკურატურიდან გამოსვლის შემდეგ მან მედიასთან კომენტარი გააკეთა.

მეუფის თქმით, კარგი იქნებოდა, პროკურატურას ის ადამიანებიც დაეკითხა, რომლებიც ასევე საჯარო განცხადებებს აკეთებდნენ, მათ შორის ქვეყნის პირველი პირები. მისივე განცხადებით, სატელევიზიო ეთერით გავრცელებული ვაიბერმიმოწერები ავთენტურია, თუმცა კონკრეტული სახელების დასახელებისგან თავს იკავებს.

– პროკურატურას აინტერესებდა დეტალები ჩემ მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებების შესახებ. კარგი იქნებოდა, რომ ჩემამდე უფრო დიდი განცხადებების გამკეთებლები დაეკითხათ, რომლებსაც მე ფარისევლებს ვეძახი, ვგულისხმობ ქვეყნის პირველ

პატრიარქის მდივან-რეფერენტ შორენა თეთრუაშვილის გვარმა არაერთხელ გაიჟღერა. გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულ გიორგი მამალაძეს მის წინააღმდეგ რაღაც კომპრომატები ჰქონდა.

ითქვა ისიც, რომ მამა გიორგის მისი მოწამვლა ედებოდა ბრალად. მდივან-რეფერენტის წინააღმდეგ მეუფე პეტრემაც გააკეთა განცხადებები.

რამდენიმე დღის წინ პროკურატურამ განაცხადა, რომ თეთრუაშვილს დაკითხავს. დაკითხვა, სავარაუდოდ, ამ დღეებში მოხდება. როგორც პროკურატურის წარმომადგენელი ჯარჯი წიკლაური ამბობს, თეთრუაშვილს კითხვებს მამა გიორგი მამალაძის ჩვენებიდან გამომდინარე დაუსვამენ.

* * *

ადვოკატის განმარტებით, მამა გიორგიმ დეტალურად ისაუბრა მის ბინაში აღმოჩენილ იარაღზე. რაც შეეხება ციანიდს, ადვოკატის განცხადებით, ის მამა გიორგის ჩანთაში თავად არ ჩაუდია.

გიორგი ფანცულაიას თქმით, დეკანოზმა რამდენიმე კითხვას პასუხი არ გასცა.

– ის ამ კითხვებზე პასუხს მანამდე არ გასცემს, სანამ მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოება დაცული არ იქნება, – ამბობს ადვოკატი.

27 თებერვლისგან განსხვავებით, გუშინდელი დაკითხვა წარუმატებელი გამოდგა. პროკურატურის განცხადებით, დაკითხვა მამა გიორგიმ ჩაშალა, ადვოკატები კი ამბობენ, რომ დაკითხვის ჩაშლის მიზეზი მათი დაცვის ქვეშ მყოფის შეუძლოდ გახდომა იყო.

მათივე ინფორმაციით, ბრალდებულს დაბალი ტემპერატურა და წნევა აღენიშნებოდა, რის გამოც ის რამდენჯერმე ჩაიკეცა.

სხვანაირი პოზიცია აქვს პროკურატურას. პროკურორ ჯარჯი წიკლაურის განცხადებით, ბრალდებული ამ გზით ცდილობს, თავი აარიდოს იმ კრიტიკულ კითხვებზე პასუხების გაცემას, რომლებიც საგამოძიებო ორგანოს აქვს.

მისი თქმით, 28 თებერვალს დეკანოზი ექიმმა ორჯერ გასინჯა და ორჯერვე დაადასტურა, რომ მისი ჯანმრთელობა ნორმაშია.

– 28 თებერვალს გამოვცხადდით ბრალდებულის დაკითხვის მიზნით. ბევრი შეკითხვა გვქონდა დასასმელი და გვქონდა მოლოდინი, რომ მივიღებდით ამომწურავ პასუხებს – ასე ვიყავით შეთანხმებული თავად ადვოკატებთან და ბრალდებულთან.

როგორც კი დავაპირეთ ბრალდებულისთვის კრიტიკული შეკითხვების დასმა, რასაც ვგეგმავდით დღეს, მან საერთოდ უარი განაცხადა გამომძიებლებთან შეხვედრაზე, კიდევ ერთხელ დაასახელა მიზეზად ჯანმრთელობის მდგომარეობა, – განაცხადა ჯარჯი წიკლაურმა.

მისი თქმით, პროკურატურამ შეადგინა შესაბამისი ოქმი, რომელშიც წერია, რომ ექიმებმა ორჯერ გასინჯეს ბრალდებული და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა აბსოლუტურად ნორმაშია.

– მამა გიორგი მამალაძეს თავისუფლად შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებაში. მან უსაფუძვლოდ, სხვადასხვა საბაბითა და მიზეზით ჩაშალა დაკითხვის პროცესი, – აღნიშნა პროკურორმა.

ადვოკატი კი დეკანოზის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ექიმებს აბრალებს.

– მამა გიორგის საავადმყოფოში გადაყვანის მოთხოვნა შეუძლიათ კახიშვილის უწყების ექიმებს, მაგრამ მათ ჰიპოკრატეს კი არა, სხვა ფიცი აქვთ დადებული, – განაცხადა ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა.

მისი თქმით, არ არის გამორიცხული, მამა გიორგი მამალაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდეს, რის გამოც ის პასუხისმგებლობას სასჯელაღსრულების №9 დაწესებულების ექიმებს აკისრებს.

მართალია, დეკანოზი თავს შეუძლოდ გრძნობს, მაგრამ სიმართლის დასაცავად უკანდახევას არ აპირებს.

მიხეილ რამიშვილი დარწმუნებულია, რომ დეკანოზის სიმართლე დამტკიცდება, სიმართლის დამტკიცებამდე კი ის სასულიერო პირებს მიმართავს.

– მივმართავ სასულიერო პირებს, სანამ კიდევ რწმენა შემრჩენია, კეთილი ინებეთ და თქვენი სულიერი ძმის სიცოცხლეზე იფიქრეთ. არსად არ მიდის მამა გიორგი და ის თავის სიმართლეს ადრე თუ გვიან დაამტკიცებს, მაგრამ ყველაფერი ყველაფრისგან მოსალოდნელია, – განაცხადა მიხეილ რამიშვილმა.

მეორე ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ კი თქვა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს ციანიდი ჩაუდეს.

* * *

გუშინ საზოგადოებას ახალ სკანდალს ჰპირდებოდა ოქროს მოწმე ირაკლი მამალაძე.

გადაცემა „რეაქციაში“ სტუმრობისას მან ამ თემაზე ვრცლად ისაუბრა.

– მეუფე პეტრე არცერთ ჩანაწერში არ ფიგურირებს. ვაიბერმიმოწერა მორიგი თვალისახვევაა საზოგადოებისთვის. მე არ ვარ პროკურატურის ტიპური მოწმე. საქმე ჩაბეტონებულია. ეს საქმე მივა ბოლომდე. ამაში დარწმუნებული ვარ, მივა სასამართლომდე და, იმედი მაქვს, გამოვლინდებიან ის ადამიანები, რომლებიც გიორგი მამალაძის მხარეს იდგნენ.

ფარულ ვიდეოჩანაწერში ცალსახად ისმის საუბარი მკვლელობის მომზადებასა და ამ საქმეზე. ცალსახად ვამბობ: მე, როგორც განმცხადებელმა, ვთქვი, რომ იგეგმებოდა მაღალი იერარქიის პირის მკვლელობა, მათ შორის იქ საუბარია პატრიარქზე. მთავარ პროკურორს არავინ შეუყვანია შეცდომაში. ციანიდი მას სჭირდებოდა გერმანიაში წასვლამდე. ეს ჩანს კარგად. რომ ამბობენ, გიორგი მამალაძე ირაკლი მამალაძის ნათესავიაო, მეუფე დიმიტრის ნათესავიც არის. ქვეყანამ მართლაც ტრაგედია აიცილა და უმნიშვნელოვანესი ოპერაცია ჩატარდა.

ვნახეთ, რომ არაერთი პირი დაიკითხა. მეუფე პეტრე არის დაახლოებული პირი და ამ ჯგუფის წევრი. ეს ცხადად ჩანს. მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს პროცესი, მკვლელობის მომზადება, მეუფე დიმიტრის გვერდის ავლით მიმდინარეობდა.

ჯგუფის წევრები არის ჩანაწერებში. ჩანაწერებში ციანიდი ჩანს. პროკურატურის მიერ გასაჯაროებულ მასალებში ყველაფერი გამოჩნდება და საზოგადოება კიდევ ერთხელ მიიღებს დიდ შოკს, – განაცხადა ირაკლი მამალაძემ.

* * *

ამ საქმესთან დაკავშირებით მრავალი ვერსია გავრცელდა. თავიანთ მოსაზრებებს ავრცელებენ პოლიტიკოსებიც.

გაზეთ „ქრონიკა +“-ის ინფორმაციით, გიორგი მამალაძე პატრიარქს მემკვიდრედ ჰყავდა დასახელებული და სავარაუდო კონკურენტებმა ციანიდის საქმე „გაუჩალიჩეს“.

ეს ვერსია საპატრიარქოში არ დასტურდება. იქ ამბობენ, რომ პატრიარქი მემკვიდრეს ანდერძით არ ტოვებს.

ამ საქმის სხვადასხვა ვერსიამ საქართველოს პრეზიდენტი, ეტყობა, ძალიან შეაწუხა. გიორგი მარგველაშვილი რამდენჯერმე სტუმრობდა პატრიარქს და ამ საქმის შესახებ რაღაც ინფორმაციებს ფლობს. ის ყველას მოუწოდებს, ამ თემებზე საუბრისგან თავი შეიკავონ.

გიორგი მარგველაშვილის თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ თემა მეტად მგრძნობიარეა, სასურველია, მასზე მხოლოდ პროკურატურამ და დაცვის მხარემ ისაუბრონ.

* * *

გუშინ, გვიან საღამოს, ციანიდის საქმეზე მორიგი სკანდალური ინფორმაცია გავრცელდა.

კურიერის ინფორმაციით, დეკანოზმა პროკურორებს უამბო, რომ ციანიდის შოვნა მას პატრიარქის მდივან-რეფერენტმა ნაცნობი ხატმწერისთვის სთხოვა და ამისთვის 500 დოლარიც გადასცა.

მამალაძე შეეცადა, თუმცა ქიმიური ნივთიერება ვერ იშოვა.

ჩვენებაში დეკანოზი ამბობს, რომ არ იცის, მის ბარგში მომწამვლელი ნივთიერება ვინ ჩადო.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით დარჩიაშვილი: „ხელისუფლებას სიმბოლური პრეზიდენტი სჭირდება“

ნათია ხურცილავა

**„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრობს.**

***– ბატონო დავით, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში დაისვა საკითხი, რომ პრეზიდენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების წარდგენისას პრემიერის კონტრასიგნაცია დასჭირდეს. თქვენი შეფასება როგორია?***

– თუ ეს გადაწყვეტილება იქნება მიღებული, აქ მხოლოდ ერთი რამის დანახვა შეიძლება: ეს არის ხელისუფლების ძალიან დიდი ახლომხედველობა. პოლიტიკური სისტემა კი არ არის აქ მთავარი და მნიშვნელოვანი, იკვეთება, რომ მთავარია ერთადერთი ფაქტი: პრეზიდენტი მარგველაშვილი არ მოსწონთ და მოხდეს მის წინააღმდეგ გალაშქრება.

***– თქვენ ასეთი შთაბეჭდილება გექმნებათ?***

– სხვანაირი შთაბეჭდილება როგორ უნდა შემექმნას, როდესაც ცხადზე ცხადია ყველაფერი. ეს და სხვა არაერთი ცვლილება ასევე ემსახურება იმას, რომ სხვა პრეზიდენტებისგანაც თავი დაიზღვიონ რაიმე სახის უხერხულობებისგან. დღეს უმრავლესობას მაქსიმალურად სიმბოლური პრეზიდენტი სჭირდება, რომელიც მხოლოდ ფასადი იქნება და არა – რეალური ფიგურა, პოლიტიკური წონითა თუ შესაძლებლობებით.

***– თქვენ ახსენეთ პოლიტიკური სისტემა. ბევრი ამ პოზიციას ფუნქციების აღრევის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად თვლის, რომ ხელისუფლების სამ შტოს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება.***

– პოლიტიკური სისტემების რაობაში ჩაუხედავად ხსნის. თუკი მთავრობაზე გახდება პირდაპირ მიბმული სასამართლო ხელისუფლების დაკომპლექტება, სად იქნება აქ ბალანსი?! ამით ხომ კიდევ უფრო მიბმული იქნება მთავრობაზე სასამართლო ხელისუფლება?!

***– ხელისუფლება ამბობს, რომ საპარლამენტო მოდელის შესაფერისი უნდა გვყავდეს პრეზიდენტიც, მისი არჩევის წესიც და უფლებამოსილებებიც შესაბამისი უნდა იყოს. კონსტიტუციონალისტთა ნაწილიც იზიარებს ამ პოზიციას. არ ეთანხმებით?***



– არ ვეთანხმები ამ პოზიციას და გეტყვით, რატომაც: ეს არ ითვალისწინებს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ კონტექსტს.

***– რას გულისხმობთ?***

– დღეს ბიძინა ივანიშვილს აქვს განუზომელი გავლენა პოლიტიკურ სპექტრზე, საპარლამენტო უმრავლესობაზე და, შესაბამისად, ეს კონტექსტი არ იძლევა სრულად იმის შესაძლებლობას, რომ მოხდეს ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი. ამიტომ უნდა იყოს ერთი სახელისუფლებო შტო მაინც, რომელიც იქნება დამოუკიდებელი და არა – კონტროლირებადი.

***– თქვენ ამბობთ, რომ მთავარია პოლიტიკური კონტექსტი და არა – მოდელი?***

– რა თქმა უნდა. კონტექსტის გააზრება უნდა მოხდეს, რომ ავირჩიოთ საპარლამენტო მოდელი, შერეული თუ საპრეზიდენტო, თუმცა, რასაკვირველია, არ უნდა დავივიწყოთ მთავარი და ძირითადი პრინციპები. საფრთხე არის ის, რომ ერთ ხელში მოექცეს ყველაფერი და ერთმა გააკონტროლოს.

***– საპრეზიდენტო, სუპერსაპრეზიდენტო მმართველობა გამოვიარეთ და რა იყო შედეგი?***

– ეს უფრო შეფასების საგანია და ამაზე შეიძლება, სხვადასხვა აზრი იყოს. იურიდიული, სამართლებრივი პედანტურობით ამ საკითხისადმი მიდგომა არასწორი მგონია.

***– პოლიტიკურ ნებაზე აკეთებთ აქცენტს?***

– რა თქმა უნდა. რა მნიშვნელობა აქვს, რა მოდელი გვექნება, სუპერსაპრეზიდენტო თუ საპარლამენტო, თუ პოლიტიკური ნება არ იქნება, რომ ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობა იყოს. რა მოდელი უხდება საქართველოს არსებულ ვითარებაში, ამის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ. თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო მოდელია, დემოკრატიული მმართველობა არ არის თუ რა?!

***– პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევნები გაუქმდება?***

– თუ პროცესები ისე გაგრძელდა, როგორც მიდის, მოხდება ისე, რომ საქართველოს პრეზიდენტს აირჩევს არა საქართველოს მოსახლეობა, არამედ პარლამენტი თუ სპეციალურად დაკომპლექტებული კომისია. პრეზიდენტად ის ადამიანი არჩეული იქნება, რომელიც უნდა უმრავლესობას. თუ არ მოეწონებათ, გადაირჩევენ ასეთივე წარმატებით. ეს სრულიად მიუღებელი იქნება.

# ემზარ კვიციანი: „კანონებში რაღაც კავკასიური უნდა შევიტანოთ“

## „არ გვინდა, „ოცნების“ სპექტაკლში მონაწილეობა მივიღოთ“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ ითხოვს კავკასიური კანონების მიღებას და ვინ ახორციელებს პატრიოტთა ალიანსის დისკრედიტაციას? – ამ თემებზე „ახალ თაობას" პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ემზარ კვიციანი ესაუბრება.**



***– თქვენმა ინიციატივამ კანონში კავკასიური მომენტების გათვალისწინების შესახებ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.***

– მე ამას აჟიოტაჟს არ დავარქმევდი. ეს უფრო მოწონება იყო. კოლეგები ჩემს იდეას კარგად შეხვდნენ. რამდენიმემ ყურში მითხრა, სწორი ხარ, ემზარო.

***– ასეთი იდეა რატომ გაგიჩნდათ?***

– რატომ და იმიტომ, რომ კავკასიელები ვართ. საქართველოში ყველა კანონი საზღვარგარეთიდან შემოდის. მათ ვთარგმნით და პირდაპირ ვიღებთ და არ გვახსენდება, რომ ბოლომდე ევროპელები არ ვართ. რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ მაინც კავკასიელებად დავრჩებით. ამიტომაც უნდა იყოს ჩვენს კანონებში კავკასიური კომპონენტები.

***– რომელ კანონში ითხოვთ კავკასიური კომპონენტის შეტანას?***

– იმ კანონში, რომელიც განქორწინებას ეხება. ყველანი ვხედავთ, რომ ოჯახები ლიწინ-ლიწინით ინგრევა. ეს პროცესი უნდა შეჩერდეს.

28 თებერვალს ჩვენ ოჯახში ძალადობაზე ვსაუბრობდით და იქ რამდენიმე საინტერესო დეტალი ვნახე. ადრე ცოლ-ქმარი გაყრაზე რომ შეიტანდა განცხადებას, საქმის განხილვა რაღაც დროის გასვლის შემდეგ იწყებოდა. ახლა ეგრევე ხდება მისი განხილვა.

ამის გარდა, გაცხარებულ ცოლ-ქმარს იუსტიციის სახლშიც შეუძლია მისვლა, სადაც განცხადების შეტანიდან 5 დღეში აძლევენ განქორწინების საბუთს. როგორ გგონიათ, 5 დღეში კავკასიელები დაწყნარდებიან? რა თქმა უნდა, არა.

ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ასე მარტივად არ უნდა იქნეს მიღებული. თუ ეს არ შეიცვალა, გამოდის, რომ ხელისუფლება ოჯახების დანგრევას უწყობს ხელს.

***– ანუ თქვენ გინდათ, რომ განქორწინება დროში გაიწელოს?***

– ეს მე კი არ მინდა, ეს ჩვენს ქვეყანას უნდა. ჩვენ ემოციური ხალხი ვართ და მალე ვბრაზდებით, წყენა კი გვიან გვინელდება. ამიტომაც ქალსა და კაცს მოსაფიქრებლად ბევრად მეტი დრო უნდა მიეცეთ.

მე იურისტი არ ვარ, მაგრამ კანონებში ჩახედვის შემდეგ ძალიან იოლად დავინახე, რომ ყველაფერი ჩვენი ქვეყნის დასაქცევად არის მიმართული. შვილად აყვანის შესახებ კანონი ჩემში ბევრ კითხვას იწვევს. ბევრი კითხვაა იმ წესების მიმართ, რომლებითაც შეიძლება, მშობელს შვილი წაართვან.

ცოტა ხნის წინ ჩემი და, ნორა კვიციანი, თავისი ავტორიტეტით ჩაერია და დედ-მამას 4 წართმეული ბავშვი დაუბრუნა. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მშობლისთვის ბავშვის წართმევა ძალიან გამარტივდა.

***– რას ნიშნავს, გამარტივდა?***

– იმას, რომ პატარა მიზეზიც კი საკმარისია, რომ ბავშვი წაგართვან.

***– რანაირად უნდა წაართვან მშობელს შვილი?***

– ძალიან მარტივად. შეუძლიათ, მშობლებს რაიმე პროვოკაცია მოუწყონ და შვილი წაართვან. მხლოდ წართმევით არ მთავრდება ეს ტრაგედია. ეს ბავშვი, შესაძლოა, ვინმეს მიაშვილონ ან მიჰყიდონ.

ასევე სერიოზული პრობლემაა თაღლითობის ამბავიც. ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანები ანგარების მიზნით ქმნიან ოჯახს. ხელის მოწერის შემდეგ ისინი სპექტაკლს დგამენ და განქორწინებას ითხოვენ. ამის გარდა, თაღლითები მეუღლეს ქონების ნაწილსაც სთხოვენ.

სასამართლომ ეს მოთხოვნა ასე მარტივად არ უნდა დააკმაყოფილოს. ხშირად მომხდარა, რომ საქმეში თაღლითობა გამოვლენილა. პატიოსან ადამიანებს თავიანთი სიმართლის დამტკიცება წლების განმავლობაში სჭირდებათ.

***– 1 მარტს არის პარლამენტის რიგგარეშე სხდომა, რომელსაც თქვენი პარტია ბოიკოტს უცხადებს. რატომ არ შედიხართ სხდომაზე?***

– იმიტომ არ შევდივართ, რომ არ გვინდა, „ოცნების“ სპექტაკლში მივიღოთ მონაწილეობა. ამის გარდა, ამ ფორმით ჩვენ მიმართ არაჯანსაღ დამოკიდებულებასაც ვაპროტესტებთ.

***– რა დამოკიდებულებას აპროტესტებთ?***

– იმ დამოკიდებულებას, რომ ჩვენ, პატრიოტები, იგნორირებულები ვართ.

***– იგნორირება რაში გამოიხატება?***

– ყველაფერში. ეს პროცესი ჩემი ჩაჩოჩებით დაიწყო. ჩემი კანდიდატურა წარდგენილი იყო თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე. ყველაფერი გააკეთეს, რომ ეს თანამდებობა არ დამეკავებინა.

ახლა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისია შეიქმნა. ამ კომისიაში ჩვენგან ადა მარშანია იქნება წარმოდგენილი. ჩვენ შემოგვთავაზეს მდივნის თანამდებობა, რომელსაც არ დავთანხმდებით.

***– რატომ არ დათანხმდებით?***

– იმიტომ, რომ მინიმუმ მოადგილის პოსტი გვეკუთვნის. სხვა თუ არაფერი, ადა აფხაზეთიდან არის. წესით, ის თავმჯდომარედ უნდა აირჩიონ. მდივნის პოსტის შემოთავაზება ჩვენი იგნორირებაა.

ამის გარდა, ჩვენ არცერთ დელეგაციაში არა ვართ. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ პატრიოტებს გვებრძვიან. ჩვენ კი ასე იოლად არ ვნებდებით.

# ანა დოლიძე: „მოსმენების კანონპროექტში კოსმეტიკური ცვლილებებია შეტანილი“



პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანის განცხადებით, მოსმენების შესახებ კანონპროექტში კოსმეტიკური ცვლილებებია შეტანილი.

ანა დოლიძე ამბობს, რომ ამ კანონპროექტთან დაკავშირებით შეფასებას მას შემდეგ გააკეთებენ, რაც ის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადაიგზავნება.

– ვაანალიზებთ მეორე მოსმენით მიღებულ კანონპროექტს. მიუხედავად იმისა, რომ მასში შეტანილია გარკვეული კოსმეტიკური ცვლილებები, ფაქტობრივად, ბევრი ის საკითხი, რომლებთან დაკავშირებითაც გამოვთქვით მოსაზრება, დარჩენილია, მაგალითად, კომპანიების უფლებამოსილება და სააგენტოს დამოკიდებულება უსაფრთხოების სამსახურებზე. ჩვენ შეფასებას ამ კანონპროექტთან დაკავშირებით მას შემდეგ გავაკეთებთ, რაც ის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადმოიგზავნება, – განაცხადა ანა დოლიძემ.

ჟურნალისტის კითხვაზე, ვის ხელში უნდა ყოფილიყო მოსმენების გასაღები, ანა დოლიძემ უპასუხა, რომ მოსმენების გასაღები პრემიერ-მინისტრის ხელში უნდა ყოფილიყო.

**პირველი რადიო**

# მარგველაშვილი: „რუსთავი 2-ის საქმეზე მოვლენათა განვითარებას დაველოდოთ“



რუსთავი 2-თან დაკავშირებით განცხადება გაკეთდა პრეზიდენტის პრესსპიკერის ბრიფინგზე.

ეკა მიშველაძის თქმით, გიორგი მარგველაშვილისთვის რუსთავი 2-ის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია.

– რუსთავი 2-ის თემა არის ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებო თემა პრეზიდენტისთვის და, ზოგადად, მთელი ადმინისტრაციისთვის. საქართველოს პრეზიდენტი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ ყოველთვის ამ საკითხის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. დღესაც გვინდა, კიდევ ერთხელ განვაცხადოთ, რომ ეს არის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც, პირველ რიგში, კავშირშია ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასთან.

ჩვენ სასამართლო პროცესებზე კომენტარს არ ვაკეთებთ.

არცერთ ეტაპზე პრეზიდენტს თავი არ შეუკავებია მედიის დაცვისგან. შესაბამისად, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და, შესაბამისად, იქნება ჩვენგანაც რეაგირება, – განაცხადა ეკა მიშველაძემ.

**პირველი რადიო**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ნონა ცაბაძე

# მამუკა გამყრელიძე: „ხელისუფლება აუცილებლად წაიღებს რუსთავი 2-ს“

**ექსპერტი მამუკა გამყრელიძე „ახალ თაობასთან“ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო მამუკა, რა პროცესები ვითარდება ქვეყანაში და რა განზრახვა აქვს ხელისუფლებას?***

– დღეს საქმე გვაქვს დაუსჯელობის სინდრომის აღქმასთან ხელისუფლების მხრიდან. ჩვენ ამ ოთხი წლის განმავლობაში ვნახეთ, თუ რამდენი არასწორი ნაბიჯი გადადგა ხელისუფლებამ და არც ერთ ამ თემაზე საზოგადოებას არ გამოუხატავს არანაირი პროტესტი. წინა ხელისუფლებას არც ერთ არასწორ გადადგმულ ნაბიჯს არ არჩენდნენ და ახლა პირიქით არის. როგორც ჩანს, ხელისუფლებამ ეს შეიგრძნო და დღეს გვაქვს ისეთი სიტუაცია, როდესაც მიდის სხვადასხვა ფრონტზე შეტევა. ეს ძალიან საშიში ტენდენციაა.

***– რაზე იმსჯელა საკოორდინაციო საბჭომ, რა მემორანდუმს მოაწერეთ ხელი?***

– მემორანდუმში წერია, რომ ჩვენ უნდა აღვუდგეთ წინ ხელისუფლებას და არ უნდა მივცეთ საშუალება, რომ ნაბიჯები გადადგას ამ მიმართულებით. პირდაპირი თავდასხმა მიდის. ჩვენ პირველად შევიკრიბეთ რუსთავი 2-ის საკითხზე, თავისუფალი სიტყვის დასაცავად, მაგრამ ახლა იმდენად გაფართოვდა ეს შეტევები სხვადასხვა მიმართულებით, რომ რეაგირებას ვეღარ ვასწრებთ.



***– კერძოდ, რა მიმართულებით გააქტიურდა შეტევები?***

– სერიოზული საფრთხე შეექმნა პრეზიდენტის ინსტიტუტს, იკვეცება მისი უფლებამოსილება და საერთოდ მისი პირდაპირი წესით არჩევა აღარ მოხდება, მისი არჩევა მოხდება პარლამენტის საშუალებით. ასევე ჩვენ ვხედავთ, რომ თავდასხმა მიდის მედიაზე და მესამე, რაც ძალიან სახიფათო და საშიშია, ეს არის სასამართლოზე ზეწოლა. პრაქტიკულად ხელში ჩაგდება მიდის ყველა ამ შტოსი. გარდა ამისა, მოხდა ის, რასაც ჩვენ ვერც ერთი ვერ წარმოვიდგენდით.

***– ასეთი რა მოხდა?***

– მოხდა ეკლესიაზე თავდასხმა! მე დარწმუნებული ვარ, რომ აქ არის ხელისუფლების დიდი ინტერესი. ეკლესია, წლების განმავლობაში, ძალიან დახურული ორგანიზაცია იყო. ყოველთვის მშვიდად, წყნარად ახერხებდა დარეგულირებას ყველა წინააღმდეგობის თავის წიაღში. მათ ძალიან კარგად იციან, რომ ამ პროცესების გარეთ გამოტანა და საზოგადოებისთვის დანახვება მათ ინტერესებში არ არის.

დღეს ამ ყველაფრის გამოაშკარავება მოხდა. ხელისუფლებამ პირდაპირ დარტყმა მიიტანა ეკლესიაზე და დაასუსტა ეკლესია. მათ უკარგავენ ნდობას მრევლში. ცდილობენ ეს ბერკეტები ხელში აიღონ და ეკლესიის მართვა თავად დაიწყონ. აკეთებენ იმას, რაც არც ერთ ხელისუფლებს არ უქნია.

***– რისი თქმა გინდათ, რომ სააკაშვილის რეჟიმმა ვერ შეძლო ეკლესიის დამორჩილება მაშინ, როდესაც ტოტალურად ყველაფერს აკონტროლებდა და ესენი ცდილობენ?***

– მოდით, რეჟიმს ნუ ვიტყვით, სააკაშვილის ხელისუფლებას არც უცდია ამის გაკეთება! პირიქით, ისინი სულ ცდილობდნენ, რომ მათთვის საჩუქრები გადაეცათ. ჯიპების ჩუქება იყო თუ სხვა რამ. ამხელა დაფინანსება სწორედ სააკაშვილის დროს მიიღო ეკლესიამ. შევარდნაძის პერიოდში მცირე დაფინანსება ჰქონდა.

***– იმიტომ ხომ არ მისცეს, რომ კონტროლიც ჰქონოდათ ეკლესიაზე?***

– ამას კონტროლს ვერ დავარქმევ, აქ იყო უფრო გულის მოგება. კონტროლი არც უცდია სააკაშვილის ხელისუფლებას. იცოდა, რომ ვერ მოახერხებდა ამის გაკონტროლებას. სააკაშვილს საზოგადოება მუდმივად კრიჭაში ედგა. ახლა კი სრული აპათიაა საზოგადოების მხრიდან, ეკლესიაში ჩარევაც კი აპატიეს ივანიშვილის ხელისუფლებას.

დღეს არაფერზე რეაგირებს ჩვენი საზოგადოება. ეს ძალიან შემაშფოთებელია. არც ერთი მიმართულებით არ ხდება წინსვლა. შესაძლოა, ჩვენ მივიღეთ უვიზო მიმოსვლა ევროპასთან, რაც ძალიან კარგია, მაგრამ ეს ამ ხელისუფლების დამსახურება ნამდვილად არ არის.

***– აბა, ვისი დამსახურებაა?***

– ეს პროცესი დაწყებულია წინა ხელისუფლებების პერიოდში. ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან. ჩვენ დღეს შედეგი მივიღეთ, თუმცა ეს სულ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი სახელმწიფო წინ მიდის. ეს ხელისუფლება მომავალ ხელისუფლებას კარგს ვერაფერს დაუტოვებს. ამ ხელისუფლებას არაფერი დასატოვებელი არ ექნება.

***– 2 მარტს სასამართლო პროცესია ჩანიშნული რუსთავი 2-ის საქმეზე. რას ელოდებით?***

– ჩემი მოლოდინი ასეთია, რომ ხელისუფლება აუცილებლად წაიღებს რუსთავი 2-ს. ჩვენი საკოორდინაციო საბჭო ახალი შექმნილია, თუმცა იმდენად სწრაფად ხდება მოვლენების განვითარება, რომ ჩვენ საველე პირობებში გვიწევს ჩვენი ნაბიჯების დაგეგმვა. ჩვენ აუცილებლად წინ აღვუდგებით ხელისუფლების ამ უზნეო ნაბიჯს. გამოვიყენებთ ყველა მეთოდს, რის საშუალებასაც იძლევა ჩვენი კონსტიტუცია.

# როგორ დაიწყება ტვირთების ტრანზიტი, თუ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი წინააღმდეგი იქნებიან?

## სომეხი ანალიტიკოსი პრემიერ კარაპეტიანის ოპტიმიზმს ეჭვქვეშ აყენებს



**საქართველოს პრემიერის წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინის ბოლო შეხვედრაზე, რომელიც პრაღაში გაიმართა, მხარეებმა 2011 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი სავაჭრო დერეფნების შესახებ შეთანხმების რეანიმირებაზე მოილაპარაკეს.**

ამ დოკუმენტის ამოქმედება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კომუნიკაციებით სარგებლობას ითვალისწინებს (საზღვრებზე საბაჟო პუნქტების დაარსებასთან ერთად), მაგრამ მათი პოლიტიკური სტატუსის გარეშე. თუ კომუნიკაციები ამოქმედდება, ეს სომხეთისთვისაც მომგებიანი იქნება.

სომხურმა მასმედიამ მომხდარი ფაქტი ბლოკადის გარღვევად შეაფასა. რამდენად სწორია საკითხის ასეთი შეფასება, ნამდვილად გარღვევასთან გვაქვს საქმე? – ამ კითხვებზე სომხური გაზეთის კორესპონდენტს სომხეთის რეგიონული კვლევების ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი ჯონი მელიქიანი პასუხობს.

ინტერვიუში სომეხი მეცნიერი მიმოიხილავს სავაჭრო დერეფნების შესახებ შეთანხმების შინაარსს, მისი დადების მიზეზებს და იქვე აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით ბლოკადის გარღვევაზე საუბარი ნაადრევია, რადგან დოკუმენტის ამოქმედებას წინ უამრავი დაბრკოლება, „წითელი ხაზები“ ელობება.

საინფორმაციო სააგენტო ნიუსპრესი გთავაზობთ ამონარიდს ინტერვიუდან.

* * *

– არსებობს „წყალქვეშა კლდეები“, რომელთა გათვალისწინებით, ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის განცხადება აღტაცების საფუძველს არ გვაძლევს. მთავარი აქ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პოზიციებია, – ამბობს ჯონი მელიქიანი.

ის ამბობს, რომ ბოლო წლებში რუსეთსა და ამ რესპუბლიკებს შორის საკმაოდ ბევრი შეთანხმებაა გაფორმებული, რომლებიც სასაზღვრო და სავაჭრო საკითხებს არეგულირებს.

– არაა გამორიცხული, რომ 2011 წელს გაფორმებული შეთანხმება მოგვიანებით ხელმოწერილებს ეწინააღმდეგებოდეს, მით უმეტეს, რომ სავაჭრო დერეფნების შეთანხმებაში აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საერთოდ არაა ნახსენები. ეს სოხუმისა და ცხინვალის უკმაყოფილებას იწვევს. მათი აზრით, აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის ვაჭრობის საკითხი რუსეთთან თუ საქართველოსთან მათი საქმეა და სხვას არავის ეხება.

***– პლუს ამას კიდევ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ჯერ კიდევ გაუგებრობაა სამხედრო ტრანზიტის საკითხში. ასეა, ხომ?***

– გაუგებრობა რბილადაა ნათქვამი. შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ რეგიონული ვაჭრობის სტატისტიკა და ტვირთების მოძრაობის კონტროლი დამოუკიდებელი აუდიტის, შვეიცარული კომპანიის მეშვეობით უნდა განხორციელდეს. თითქოსდა დოკუმენტში სამხედრო ტვირთებზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ ქართული მხარე დაბეჯითებით აცხადებს, რომ შვეიცარულმა კომპანიამ სამხედრო ამუნიციისა და იარაღის სახმელეთო გზით გადატანაც უნდა გააკონტროლოს. რუსეთი კი ამტკიცებს, რომ ასეთი ფუნქცია მას არ უნდა ჰქონდეს.

ასევე გაუგებრობაა მხარეებს შორის ინფორმაციის გამჟღავნების საკითხში: მხარეებმა მხოლოდ ვაჭრობის შეჯამებული, საბოლოო მონაცემები უნდა მიიღონ, ვთქვათ, ვაჭრობამ ამა და ამ მიმართულებით ამდენი და ამდენი მილიონი შეადგინა, მაგრამ დეტალური ციფრების გარეშე. მოკლედ, 2011 წლის შეთანხმებას რუსეთიც და საქართველოც თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევენ.

***– და, როგორც ჩანს, ჩვენც ჩვეწეული მიდგომები გვაქვს?***

– ჩვენ კი ყურადღებას არ ვაქცევთ იმას, თუ რამდენად დიდი წყალქვეშა კლდეებია, არ ვუკვირდებით, როგორია მხარეთა განწყობები და ნაადრევ ოპტიმიზმს ვამჟღავნებთ.

რასაკვირველია, სავაჭრო დერეფნების ამოქმედება სომხეთისთვის მომგებიანია. აქ ორი დონე უნდა აღვნიშნოთ: საქართველო, ცხადია, უფრო მშვიდად იქნებოდა, თბილისს რომ რუსეთ-აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის ვაჭრობის შესახებ ინფორმაცია ჰქონდეს. პოლიტიკურად ყველაფერი რომ მოგვარებული იყოს (მაგალითად, სტატუსის საკითხი), სომხეთის ტვირთები თავისუფლად წავიდოდა რუსეთში, ამ რესპუბლიკების ტერიტორიის გავლით, განსაკუთრებით, გორი-ცხინვალის მიმართულებით, ტრანსკავკასიის მაგისტრალის გამოყენებით.

ეს იქნებოდა უკვე ძირითადი მიმართულება, ხოლო ზემო ლარსი – სათადარიგო. მაგრამ, სანამ ყველა საკითხი არ მოგვარდება და სანამ მაგისტრალით სარგებლობის უფლება არ გვაქვს, მანამ საუბრები ბლოკადის გარღვევაზე უადგილოა.

***– ისევე, როგორც სომხეთის პრემიერ-მინისტრ კარენ კარაპეტიანის განცხადება, რომ აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკების საფუძველზე ზემო ლარსის ალტერნატივა უნდა ვეძებოთ.***

– დიახ, აქაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ბევრმა შეიძლება ისე იფიქროს: „აი, კარენ კარაპეტიანმა ალტერნატიული გზა მოისურვა, ზურაბ აბაშიძე და გრიგორი კარასინი კი დასხდნენ, მოილაპარაკეს და სომხეთს საჩუქარი მიართვეს“.

ვიმეორებ, რომ სავაჭრო დერეფნების შესახებ შეთანხმების რეალიზაცია იმდენად პრობლემატურია, რომ მე საკითხის გადაწყვეტა მოკლევადიანში კი არა, საშუალოვადიან პერსპექტივაშიც კი წარმოუდგენლად მეჩვენება.

მაგალითად, როგორ დაიწყება ტვირთების ტრანზიტი, თუ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი წინააღმდეგი იქნებიან? გასაგებია, რომ რუსეთს თავისი ბერკეტები აქვს სოხუმსა და ცხინვალზე ზეწოლისთვის, მაგრამ ამის გათვალისწინებითაც კი სერიოზული პრობლემები გაჩნდება.

გარდა ამისა, ვთქვათ და მხარეებმა მოილაპარაკეს, მაგრამ რას ვუშვრებით საქართველოს კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომელიც სარკინიგზო-საავტომობილო ტვირთების გადაზიდვას კრძალავს?

გამოდის, რომ კანონის შეცვლა იქნება აუცილებელი. ეს ყველაფერი კომპლექსში ხელს შეუშლის 2011 წლის შეთანხმების ამოქმედებას.

**ნიუსპრესი**

# პატრიარქის ექიმი: „გერმანელი სპეციალისტების თხოვნაა, უწმინდესს მშვიდი რეჟიმი და ნაკლები დატვირთვა ჰქონდეს“




პატრიარქის ექიმ ცისანა შარტავას განცხადებით, გერმანელი ექიმების თხოვნაა, უწმინდესს მშვიდი გარემო და ნაკლები დატვირთვა ჰქონდეს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ცისანა შარტავამ საპატრიარქოსთან განუცხადა.

მისივე თქმით, უწმინდესის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, როგორც ეს ოპერაციის შემდგომ პერიოდს შეეფერება.

შარტავას განცხადებით, გერმანელი ექიმების თხოვნაა, 5-6 კვირის განმავლობაში მას ჰქონდეს მშვიდი რეჟიმი და რაც შეიძლება ნაკლები დატვირთვა.

– ყველაფერი ძალიან კარგად მიდის. ერთია, რომ გერმანელი და ჩვენი სპეციალისტების ძალიან დიდი თხოვნა იყო, 5-6 კვირის განმავლობაში მას ჰქონოდა მშვიდი რეჟიმი და რაც შეიძლება ნაკლები დატვირთვა, რასაც, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვასრულებთ. ახლა ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ ვშიშობთ, ამის გამო მომავალში რაღაც დისკომფორტი არ იყოს.

ამიტომ ჩვენი სპეციალისტები სთხოვენ უწმინდესს, რომ როგორღაც ცოტა შემსუბუქდეს მისი დატვირთვა. ახლა მძიმე მარხვა დაიწყო.

ძალიან დიდი დატვირთვაა, ამიტომ ჩვენ, ექიმებს, რაიმეს თქმა გვიჭირს, მაგრამ ყველაფერი კარგად მიდის. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. ექიმები ძალიან კმაყოფილი ვართ ამ მდგომარეობით, – განაცხადა ცისანა შარტავამ.

**ინტერპრესნიუსი**

# მამუკა არეშიძე: „აფხაზეთის რკინიგზაზე ოპოზიციამ ხელოვნური აჟიოტაჟი ატეხა“

ნონა ცაბაძე

**ბოლო დროს აქტუალური გახდა აფხაზეთის რკინიგზის გახსნის თემა. ექსპერტი მამუკა არეშიძე „ახალ თაობას“ ამ საკითხზე ესაუბრა.**

***— ბატონო მამუკა, რატომ ატყდა ეს აჟიოტაჟი?***

— ეს ხელოვნურად ატეხილი აჟიოტაჟია. ის, რასაც ოპოზიცია გულისხმობს, რომ შესაძლოა აფხაზეთიდან გაიხსნას რკინიგზა სომხეთისკენ, ძალიან კარგად იციან, რომ მარტივი არ არის.

***— სომხეთის პრემიერმა თქვა, რომ კვირიკაშვილთან ისაუბრა ლარსის ალტერნატივაზე.***

— ამ შეხვედრაზე ნამდვილად იყო ლარსის ალტერნატივაზე საუბარი და კარაპეტიანმა გამოთქვა თავის შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ტვირთების გატანა ვერ ხდება და ბუნებრივი პირობები ხშირად ადამიანებს ხელს უშლის, რომ პროდუქტი გაიტანონ სომხეთიდან ლარსის გავლით რუსეთში.

ეს პრობლემა ყოველთვის არსებობდა, მაგრამ სომხეთი მას მარტივად აგვარებდა და ეს ხდებოდა ფოთის პორტიდან. გავიხსენოთ 2008 წლის ომი, როდესაც ააფეთქეს კასპთან ხიდი, მაშინ ერევნიდან სპეციალური ბრიგადა ჩამოვიდა და განაცხადეს, ამ ხიდს ჩვენ აღვადგენთ, რადგან ერევანში 12 დღის საკვებია დარჩენილიო.

სწორედ აქედან იკვებებოდა ერევანი. მარშრუტი იყო ასეთი: ნოვოროსიისკის პორტი, იქიდან ბორნით ფოთამდე და ფოთიდან უკვე მატარებლით ერევნამდე. ბოლო ექვსი წელიწადია, ეს მარშრუტი არის შეჩერებული.

***— რა მიზეზით?***

— სომხური მხარე აპელირებს იმაზე, რომ სარკინიგზო ტარიფებია მაღალი. აქედან გამომდინარე, არარენტაბელური ხდება ამ მარშრუტით ტვირთების ტარება. ეს ამბავი უნდა დავიმახსოვროთ კარგად იმიტომ, რომ შემდგომში გამოსავალი ამ ვითარების მოწესრიგებაშია, ანუ ტარიფების შეცვლაში.

***— შესაძლოა, ამაზეც იყო საუბარი?***

— არ გამოვრიცხავ, თუმცა თავს ვერ დავდებ. თუ საქართველოს ხელისუფლებას უნდა, რომ არც მწვადი დაწვას და არც შამფური, მაშინ ეს არის საუკეთესო გამოსავალი — ტარიფების დაწევა ისე, რომ სომხეთისთვის ეკონომიკურად მომგებიანი იყოს ამ ტვირთების ტარება.

***— აფხაზეთის რკინიგზაზე რას იტყვით?***

— ოპოზიციური მედია ყოველთვის აპელირებს იმაზე, რომ აფხაზეთში რკინიგზა გაჰყავთ. იქ რკინიგზა მართლა გაჰყავთ, რომელიც საქართველოს საზღვრამდე მოდის და აფხაზური მხარის პასუხი ასეთია, რომ ეს ჩვენი ტერიტორიაა და რკინიგზის გაყვანა გვჭირდება იმისთვის, რომ ამ რკინიგზამ იმუშაოს და უფრო მარტივი იყოს ტვირთების და ადამიანების ტარება. ამაში არის თავისი ლოგიკაც.

ეს ყოველივე არ ნიშნავს, რომ ეს რკინიგზა აუცილებლად გაგრძელდება საქართველოს მხარეს. მართალია, ბიძინა ივანიშვილმა თავის დროზე ერევანში განაცხადა, რომ განიხილება ეს საკითხი, მაგრამ პოლიტიკური განცხადება ერთია და რეალური ქმედება მეორე. ოკუპაციის შესახებ კანონი რაც არ უნდა შეცვალო, თუ იდეა არ გამოაცალე, ყველა შემთხვევაში ბლოკავს ასეთ ინიციატივებს. დარწმუნებული იყავით, რომ არც ჩვენს დასავლელ პარტნიორებს არ გაუხარდებათ, თუ ჩვენ ასეთ გადაწყვეტილებას მივიღებთ. განსაკუთრებით აფხაზეთის რკინიგზის ამუშავებასთან დაკავშირებით.




***— ეს აზერბაიჯანის მიმართულებითაც ხომ შექმნის პრობლემებს?***

— რასაკვირველია, ეს ნიშნავს სტრატეგიული პარტნიორობის დაკარგვას აზერბაიჯანთან. ჩვენ დავრჩებით პარტნიორებად, მაგრამ სტრატეგიული პარტნიორები ველარ ვიქნებით. მართალია, სომხეთის ბლოკადა არის ეფემერული, სომხეთს ტვირთები მაინც გააქვს, მაგრამ აზერბაიჯანულ მხარეს აჩემებული აქვს, რომ ეს ბლოკადაა და ქართული მხარე ამ ბლოკადაში უნდა დაეხმაროს.

***— ანუ სომხეთის პრემიერის განცხადებებს ალტერნატიულ გზასთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია მიეცა?***

— ეს არის გააზრებული ქმედება ოპონენტების მხრიდან, რომ აქცენტი გაკეთებულიყო აფხაზეთის რკინიგზაზე. მიაქციეთ ყურადღება, აქცენტი არ გაკეთებულა კიდევ ერთ სავარაუდო მარშრუტზე.

***— რომელზე?***

— კახეთი-დაღესტნის სავარაუდო მარშრუტზე. ამაზე აქცენტი არავის გაუკეთებია, რომელიც საქართველოს მხრიდან ნაკლებ მტკივნეულია, ვიდრე აფხაზეთი, უბრალოდ დიდ დანახარჯებს მოითხოვს რუსული მხრიდან. საქართველოს მხრიდან სულ 40 კილომეტრია გასაკეთებელი, რუსული მხრიდან — დაახლოებით 300.

ასევე აქცენტი არ გაკეთებულა არც მამისონზე. გლოლამდე საუკეთესო პროფილის გზა კეთდება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. გლოლიდან მამისონამდე კი 20 კილომეტრია დარჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ მამისონის უღელტეხილი შედის სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ სივრცეში, ამ ტერიტორიას რუსები აკონტროლებენ, იქ ოსები არ ცხოვრობენ. არც ამ გზაზეა ლაპარაკი და არც კახეთი-დაღესტნის გზაზე. მხოლოდ აფხაზეთის რკინიგზა.

***— რატომ მაინცდამაინც აფხაზეთი?***

— იმიტომ აფხაზეთი, რომ ეს არის ყველაზე ფაქიზი თემა, აფხაზეთიდან დევნილი ყველაზე მეტია და აფხაზეთში განლაგებულია ყველაზე სერიოზული რუსული სამხედრო დაჯგუფება. სიტყვა აფხაზეთი ბევრად უფრო ცნობადია დასავლელი პატნიორებისთვის, ვიდრე სხვა ჩემ მიერ ჩამოთვლილი მარშრუტები და რეაგირებაც შესაბამისად უფრო მწვავე იქნება. ასე რომ, ეს არის სუფთა პროპაგანდისტული დემარში, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული!

# ომის ვეტერანები ანქვაბს აუმხედრდნენ

მარიამ მჭედლიშვილი

**„ახალი თაობა" წერდა იმის შესახებ, რომ 12 მარტს აფხაზეთში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობს აფხაზეთის ექსპრეზიდენტი და ექსპრემიერი ალექსანდრე ანქვაბი, რომელიც 2014 წლის მოვლენების შემდეგ რესპუბლიკის პროცესებში არ მონაწილეობდა. მას არჩევნებში ჩართვისკენ მოუწოდეს ოპოზიციური ძალების ბლოკმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა.**



## აფხაზეთში
## წინასაარჩევნოდ ვითარება იძაბება

მშვიდი წინასაარჩევნო კამპანია ვეტერანებმა დაარღვიეს. ისინი ალექსანდრე ანქვაბს დაუპირისპირდნენ და პირდაპირ მოითხოვეს მისი ჩამოცილება პოლიტიკიდან.

ამ მოთხოვნით ჩატარებულ საპროტესტო აქციამდე ვეტერანებმა მიმართვა გაავრცელეს.

— ანქვაბი პოლიტიკაში არ უნდა ჩაერთოს, — ასეთი იყო ვეტერანების მთავარი გზავნილი. მათ მოუწოდეს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, არ დაუშვას აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მისი დაბრუნება.

— ალექსანდრე ანქვაბს აქვს უფლება, კენჭი იყაროს, თუმცა, კანონიერი უფლების გარდა, არსებობს მორალური მხარე. ხალხს არ დავიწყებია, როგორ მიატოვა მან საკუთარი ხალხი 2014 წელს და დღემდე რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ მყიფე მშვიდობის შენარჩუნება, რომელსაც 2016 წლის 15 დეკემბერს მივაღწიეთ ხელისუფლებისა და ოპოზიციის კეთილგონიერების შედეგად. დღეს ნაბიჯის უკან გადადგმისა და კვლავ დაპირისპირების გვეშინია, — განაცხადეს ანქვაბის მოწინააღმდეგეებმა.

ჰარი ბიგვავას სიტყვებით, თუ ალექსანდრე ანქვაბი უარს იტყვის, იყაროს კენჭი მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში, ეს ხელს შეუწყობს მშვიდობას.

მისი მტკიცებით, 2014 წლის მაისში, როცა ის და მისი თანამოაზრეები მიტინგებზე იდგნენ, უმაღლესმა მთავარსარდალმა და პრეზიდენტმა ანქვაბმა ისინი უიარაღოდ მიატოვა და წავიდა.

ვიტალი დარმავასთვის გაუგებარია, რად უნდა რიგითი დეპუტატობა ანქვაბს, რომელიც თავის დროზე იყო პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და ვიცეპრეზიდენტი.

ვეტერანების გამოსვლებს გამოეხმაურნენ ოპოზიციური ძალების ბლოკი, პროფკავშირები, ორგანიზაციები „აიტაირა“ და „კიარზაა“.

მათ განაცხადეს, რომ არ არსებობს კანონი, რომელიც აუკრძალავდა ალექსანდრე ანქვაბს არჩევნებში მონაწილეობას.

— სიტუაციის დესტაბილიზაციას ქვეყანაში ახდენს არა ალექსანდრე ანქვაბის მონაწილეობა არჩევნებში, არამედ, ამგვარი მოწოდებები და მოქმედებები. არჩევნებში მონაწილეობა მისი კონსტიტუციური უფლებაა, — აცხადებენ ანქვაბის მხარდამჭერები.

მათი აზრით, ვეტერანების მოთხოვნა არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვის თაობაზე უკანონოა და მოითხოვს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან შეფასებას.

ხაჯიმბას ოპოზიცია აცხადებს, რომ ვეტერანების მხრიდან გაისმის მუქარა. ხელისუფლება ვალდებულია, დაიცვას ექსპრეზიდენტის უსაფრთხოება.

აფხაზეთის გენპროკურატურამ დაავალა სამხედრო პროკურატურას, შეისწავლოს ვეტერანების მიერ გამოქვეყნებული მოწოდება.

რა შეფასებაც უნდა გააკეთონ შესაბამისმა უწყებებმა, სიტუაცია დაიძაბა.

თავიდანვე ნათელი იყო, რომ ალექსანდრე ანქვაბის დაბრუნება არსებულ მდგომარეობას შეცვლიდა. აფხაზეთში ბოლო წლებში გახშირდა მოქმედი პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბას კრიტიკა და 2014 წლის მოვლენების ახლებურად შეფასება. ამ მოვლენებს გადატრიალებას უწოდებენ.

ხაჯიმბას საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებმა კულმინაციას 2016 წლის დეკემბერში მიაღწია. მაშინ სიტუაცია განიმუხტა იმით, რომ ოპოზიციამ მიიღო თანამდებობები ხელისუფლების სხვადასხვა შტოში და შეწყვიტა გამოსვლები.

ექსპერტები ამბობენ, რომ ამან ძლიერად შეარყია აფხაზეთის ოპოზიციის რეიტინგი.

# კარასინი: „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას უკან არ წავიღებთ“



რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო სპეკულაციას უწოდებს განცხადებას იმის შესახებ, რომ რუსეთმა მომავალში, შესაძლოა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება უკან წაიღოს.

განცხადება ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა გააკეთა.

კარასინი ამ განცხადებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელს რუსეთთან მოლაპარაკების საკითხებში ზურაბ აბაშიძეს გამოეხმაურა, რომელმაც განაცხადა, რომ რუსეთი ადრე თუ გვიან ამ რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობას უკან წაიღებს.

— ასეთი სპეკულაციები პერიოდულად ჩნდება ხოლმე. რას ეფუძნება ისინი, რთული გასაგებია. როგორც ჩანს, საქმე ეხება საკმაოდ მოუქნელ მცდელობებს, რომ ჩვენს მეზობლებს რუსეთისადმი უნდობლობა გაუჩინონ, — განაცხადა კარასინმა ჟურნალისტებთან.

გრიგორი კარასინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკები წარმოადგენენ სუვერენულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომლებთანაც რუსეთის ფედერაციას კეთილმეზობლური ურთიერთობა, მეგობრობა და მეკავშირეობა აქვს.

— ჩვენი ეს პოზიცია იყო და რჩება ურყევი, დაიმახსოვრეთ ერთხელ და სამუდამოდ! — განაცხადა კარასინმა.

**ნიუპოსტი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ლარის გამყარება ლარიზაციის გეგმას არ უკავშირდება

ნონა ცაბაძე

**ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტები დემურ გიორხელიძე და პაატა შეშელიძე აფასებენ.**





**დემურ გიორხელიძე:**

***— ბატონო დემურ, იანვარში ეკონომიკურმა ზრდამ 5,2% შეადგინა. ლარიც მყარდება. ეს ყველაფერი ლარიზაციის გეგმის დამსახურებაა?***

— ლარიზაციის პროგრამას კავშირი არა აქვს ამ საკითხთან. ის არ გაგრძელდება. თუ ლარმა გამყარება დაიწყო, მაშინ არავინ გადაიტანს სესხებს ლარებში იმ პირობებით, რომლებიც წამოყენებულ იქნა. ეკონომიკას რაც შეეხება, რა თქმა უნდა, საქართველოში ზრდის პოტენციალი არის, მაგრამ მე არ ვიცი, ეს რამდენად განხორციელებული იქნება ხელისუფლების მიერ.

***— რატომ, ეჭვი გეპარებათ მის შესაძლებლობებში?***

— პარადოქსია რაშია, იცით? თუ ეკონომიკა იზრდება, ლარის გამყარება აბსურდია! ეს არ უნდა მოხდეს. პირიქით, თუ ეკონომიკამ სწრაფი ზრდა დაიწყო, მაშინ სხვა პროცესებთან გვექნება საქმე.

***— რა პროცესებთან?***

— ეს იგივე ინფლაციასთან იქნება დაკავშირებული და ასე შემდეგ. ამიტომ ეკონომიკა იზრდება და ამან გაამყარა ლარი. ეს არის ცოტა ისეთი ნათქვამი, რომელზეც არ მინდა, ახლა კომენტარი ვაკეთო, რადგან ჩემი კომენტარი ძალიან უხეში იქნება. დღეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პოლიტიკას განახორციელებს ხელისუფლება. დღეს ყველა რესურსი არსებობს ქვეყანაში და ეს როგორ იქნება გამოყენებული, ამას ვერ გეტყვით.

***— გაზაფხულის მოსვლასთან ერთად, ეკონომიკური ზრდის ტემპებიც აიწევსო. ასე იქნება?***

— ღმერთმა ქნას, აიწიოს და ყველაფერი ისე გაკეთდეს, როგორც ეს ეკონომიკურ ზრდას სჭირდება. ცხადია, ეს არავის ეწყინება. თუმცა მე არ მჯერა დეკლარაციებისა, რომელთაც რეალური ცვლილებები არ მოჰყვება. რეფორმები არ ჩანს, საკანონმდებლო ცვლილებები არ არის. გამაგებინეთ ერთი, რა ზრდის ეკონომიკას?!

***— ლარის გამყარების ტენდენცია შეინიშნება. ელოდებით კიდევ უფრო მეტად გამყარებას?***

— ყველაფერს ველოდები, ოღონდ საქართველოს ეროვნული ბანკისგან კარგს არაფერს ველი. ეს გამყარება არის იდიოტიზმის ახალი მიმანიშნებელი. დანგრეულ ეკონომიკაში დღეს ლარის გამყარებაზე ვისაუბროთ, ეს აბსურდია! გამყარებით ვერ გამყარდება ლარი, თუ გამყარდება, ისევ ზევით წამოვა, ანუ ჩვენ მუდმივი აპარსვა-ჩაპარსვის რეჟიმში ვიქნებით და, სამწუხაროდ, ეს უტვინობა არ მთავრდება!

***— რას უწოდებთ უტვინობას, ლარი გამყარების მცდელობას?***

— ეკონომიკის სწრაფი განვითარება გინდა და თან გამყარებული ლარი გინდა? ეს სადაური წესია?! რა გარანტიაა იმისა, რომ ლარი რაიმე ნიშნულზე გაჩერდება. რას ვუწოდებთ ჩვენ გამყარებას? 50 თეთრი რომ იყოს 1 დოლარი, ეს იქნება კარგი?! ან 1 დოლარი 1 ლარი რომ ღირდეს, ეს იქნება კარგი?! მე მინდა ეროვნული ბანკისგან მოვისმინო ამ შეკითხვებზე პასუხი. რას ნიშნავს გამყარებული ლარი?! მუდმივი გამყარების რეჟიმში უნდა ვიყოთ? ან სადამდე უნდა გამყარდეს?! სრულ პროფესიული თვალსაზრისით ეს ან თაღლითობაა, ან უაზრობა. მე ვფიქრობ, რომ უფრო თაღლითობაა!

***— რით გამოიხატება ეს თაღლითობა და ვის აწყობს ყოველივე ეს?***

— ეს სჭირდება იმ ადამიანებს, ვისაც აქვს ხელმისაწვდომობა ფულის ვაჭრობასთან. დღეს ერთი კურსი იყოს, ხვალ მეორე! ლარის კურსმა აიწია, ჩაიწია! დაიღალა ხალხი. არავითარი ეკონომიკა არ განვითარდება, არავითარი ხეირი არ იქნება, როცა ადამიანები ჰაერიდან შოულობენ ფულს.

***— ანუ შესაძლებელია, ლარმა გაუფასურება კვლავ დაიწყოს?***

— რასაკვირველია. არაფერი არ იცვლება, ვერავინ მეტყვის, რა შეიცვალა, რატომ გამყარდა ლარი?! ტყუილად ნუ დააბრალებენ ლარიზაციას. ეს პროცესი არ მუშაობს. დღეს არავინ გადაიყვანს სესხებს ლარებში.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ წააგებენ აუცილებლად! დროა, ეროვნული ბანკი საქმის კეთებით დაკავდეს!

* * *

ახალი ეკონომიკური სკოლის ხელმძღვანელი, ექსპერტი **პაატა შეშელიძე** მიიჩნევს, რომ ლარიზაციის გეგმა რამდენიმე კომპონენტისგან შედგებოდა და ლარის გამყარება ამ კონკრეტულ საკითხს არ უკავშირდება.

მისი აზრით, ლარის გამყარების ტენდენცია უკავშირდება მხოლოდ ერთ ფაქტორს, იმას, რომ ბოლო პერიოდში ფულის მასა მკვეთრად შემცირდა, გაიზარდა რეფინანსირების განაკვეთი და შემცირდა მოცულობები.

***— ანუ ბაზარზე ფულის მასის შემცირებამ გამოიწვია ლარის გამყარება?***

— დიახ, ასეა. ეს პროცესი დეკემბრიდან დაიწყო და ახლა უკვე რეალური ასახვა ჰპოვა. რაც შეეხება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს იანვრის მიხედვით, აქ რამდენიმე მიზეზი არსებობს.

ჯერ ერთი, იანვარში აქტიური სავაჭრო პერიოდი იყო. ჩვენ ვიცით, რომ წინასწარი მონაცემები ეფუძნება დღგ-ს ნორმებს. აქ კიდევ ერთი ნიუანსი იყო, როდესაც დღგ-ზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ საიმპორტო პროდუქცია, რომელზეც წინასწარ ხდება გადახდები და, შესაბამისად, შესაძლოა, იანვარში კი გაიზარდა, მაგრამ მომდევნო თვეები არცთუ ისე სახარბიელო იყოს.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ შემდგომი შემოსავლები აღარ იქნება წინმსწრები გადახდების გამო. აქ კიდევ ერთი ნიუანსია, მოგების გადასახადის შემცირებამ გააჩინა გარკვეული მუხტი კერძო სექტორში და ეს არის უკვე დადებითი მუხტი. ამიტომ სახელმწიფო გეგმაზე ამ შედეგის დაბრალება, ჩემი აზრით, ნამეტანია, რადგან ლარიზაციის პროგრამის არცერთი მუხლი არ ითვალისწინებდა იმ შედეგებს, რაზეც ჩვენ ვილაპარაკეთ.

***— ლარის კურსის გამყარების ტენდენციაც შეინიშნება. ბევრი ფიქრობს, რომ ეს ხელოვნური პროცესია. რას იტყვით თქვენ?***

— ლარის კურსი ყოველთვის არის ხელოვნური, იმიტომ, რომ ის დგინდება ეროვნული ბანკის მიერ. ცხადია, ამ საკითხზე ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებებს აქვს დიდი გავლენა. ამ ეტაპზე კი გამყარების მთავარი ფაქტორი არის ლარის მასის შემცირება.

***— რამდენად გაქვთ დამაიმედებელი პროგნოზები? გაგრძელდება ეს ტენდენცია?***

— თუკი არ გაიზრდება ლარის მასა, ეს ტენდენცია შენარჩუნდება. აქ კიდევ ერთ ნიუანსს უნდა გავუსვათ ხაზი – მთავრობამ მკვეთრად დაიწყო თავის ხარჯების შემცირება, ლარის შემცირება. როგორც საკადრო თვალსაზრისით, ისე ხარჯების თვალსაზრისით. ეს ნიშნავს იმას, რომ ნაკლები დეფიციტი ექნებათ ბიუჯეტში და რეფინანსირების სესხები იქნება ნაკლებად გამოყენებული მათი მიმდინარე ვალდებულებების დასაფინანსებლად.

# კოტე სულამანიძე: „ბანკებმა კონკურენტებს ფულზე წვდომაში ხელი არ უნდა შეუშალონ“



— მთავარია, არაპროფილური აქტივების ფლობით კონკურენტ კომპანიებს ფულთან წვდომაში ხელი არ შეეშალოთ, – აცხადებს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი კოტე სულამანიძე.

მისი განმარტებით, დღეს კომერციული ბანკები სადაზღვევო სფეროში არაპროფილურ აქტივებს არ ფლობენ. სულამანიძის განცხადებით, საფინანსო სექტორია დაზღვევაც და ბანკიც. შედეგად, აქ ხელისშემშლელ ფაქტორებზე საუბარი არ შეიძლება.

— საფინანსო სექტორის შემადგენელი ნაწილია ორივე. ლოგიკურია, რომ საფინანსო სექტორში მოღვაწე კომპანია იმავე საფინანსო სექტორში ფიქრობს გაფართოებას, – აცხადებს კომერსანტთან საუბრისას სულამანიძე.

როგორც სულამანიძე აცხადებს, ბანკებს ედავებიან იმაში, რომ სხვა კომპანიებს ხელი ეშლებათ ფულთან წვდომაში. მთავარია ამ პრინციპის დაცვა და არა ის, გამიჯნული იყოს თუ არა ბანკების მხრიდან არაპროფილური აქტივების ფლობა.

მაგალითად, ამერიკაში გამიჯნულია, თან საკმაოდ მკაცრად. საინვესტიციო ბანკინგი ცალკეა და კლიენტებთან ურთიერთობა – ცალკე. ინფორმაციის გადინება არ შეიძლება.

— მთავარია, რომ გონივრულად იყოს და არ გამოიყენონ ისე, რომ კონკურენტებს ხელი შეეშალოთ ფულთან წვდომასა და ბიზნესის კეთებაში, – აცხადებს სულამანიძე.

კითხვაზე, ხდება თუ არა ქართულ რეალობაში ბანკებიდან ინფორმაციის გადინება და კონკურენტ კომპანიებს შეზღუდული აქვთ თუ არა ფულზე წვდომა, სულამანიძე განმარტავს, რომ ეს ბიზნესკომპანიებს უნდა ვკითხოთ.

* * *

2017 წლის ბოლომდე საქართველოში საბანკო სექტორიდან არაპროფილურ ბიზნესს კანონი გამიჯნავს.

ამის შესახებ კომერსანტს საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, დეპუტატმა ილია წულაიამ განუცხადა.

მისი თქმით, ამ დროისთვის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის აღნიშნულ საკითხზე კონსულტაციები მიმდინარეობს. როგორც წულაია აცხადებს, ამ ეტაპზე ხდება შესწავლა, თუ როგორ შეიძლება საკითხის დარეგულირება და რა ფორმით. ამის შემდეგ კი უკვე ინიცირება მოხდება.

ბანკების მიერ არაპროფილური ბიზნესის ფლობაზე წლებია საუბრობენ ეკონომისტები და ფინანსისტები. 2016 წლის დეკემბერში ამაზე განცხადება პარლამენტის ტრიბუნიდანაც გაკეთდა. დეპუტატ კახა ოქრიაშვილის პოზიციით, აღნიშნული კანონის შეუსრულებლობის გამო, მთავრობა ბიზნესის ნდობას კარგავს.

ეროვნულმა ბანკმა საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისთვის არაპროფილური საქმიანობის აკრძალვის გადაწყვეტილება 2014 წლის აგვისტოში მიიღო. მაშინ ბანკებს არაპროფილურ აქტივებზე უარის სათქმელად ვადა 2015 წლის 31 დეკემბრამდე მიეცათ.

კომერსანტთან დეველოპერული კომპანიების პირველი პირებიც არაერთხელ აცხადებდნენ, რომ ბანკების მიერ დაფუძნებული სამშენებლო კომპანიები კვლავ ამ ბანკებთან კავშირში განაგრძობენ საქმიანობას, რაც კლიენტებისთვის გაკეთებულ შეთავაზებებშიც ჩანს.

**სოფო ქსოვრელი,**
**კომერსანტ.გე**

# იანვარში ვადაგადაცილებული სესხები 33.9 მლნ ლარით გაიზარდა



იანვარში ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 90.1 მლნ ლარით (1.4 პროცენტით) გაიზარდა და 6.46 მლრდ ლარს გაუტოლდა.

უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა იანვარში 51.5 მლნ აშშ დოლარით (1.1 პროცენტით) გაიზარდა და პერიოდის ბოლოს 4.74 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

ამ კატეგორიის კრედიტების 56.1 პროცენტს იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები შეადგენდა, ხოლო 85.2 პროცენტი გრძელვადიან დაკრედიტებას უჭირავს.

ეროვნული ბანკის თვის მიმოხილვის მიხედვით, 41.0 პროცენტს შეადგენს ფიზიკური პირების სესხები უცხოური ვალუტით. უცხოური ვალუტით დაკრედიტების ზრდა, ძირითადად ფიზიკური პირების დაკრედიტების მატებით არის გამოწვეული.

იანვარში ვადაგადაცილებული სესხები 33.9 მლნ ლარით გაიზარდა და 445.7 მლნ ლარს გაუტოლდა.

მათი წილი კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელში 2.3 პროცენტი იყო. ვადაგადაცილებული სესხების 39.1 პროცენტი ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

საანგარიშო პერიოდში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 65.2 პროცენტს გაუტოლდა.

**ბიზნესკონტრაქტი**

# აზერბაიჯანმა საქართველოს ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტისთვის 630 მილიონი დოლარი გამოუყო




აზერბაიჯანულმა სახელმწიფო ფონდმა „სოფაზმა“ წლის დასაწყისიდან ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტისთვის 630 მილიონი დოლარი გამოყო.

თანხა მარაბდა-კარწახის მონაკვეთზე ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩასატარებლად დაიხარჯა.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის განხორციელება 2007 წელს დაიწყო, მშენებლობა კი – 2008 წელს და იგი ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე მარაბდა – ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციასა და ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობას ახალქალაქიდან თურქეთის საზღვრამდე.

2016 წელს პროექტისთვის 41,9 მილიონი დოლარი იყო გამოყოფილი.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა აზერბაიჯან-საქართველოსა და თურქეთის ხელისუფლებების შეთანხმებით შენდება. მისი ექსპლუატაციაში შესვლა 2017 წლის მეორე ნახევარში იგეგმება.

**ბიზნესკონტრაქტი**

# „იბერია ბიზნესჯგუფმა“ აქტივების ნაწილი 2 ბანკს გადასცა

## ამით კომპანიამ სესხი 8 მლნ დოლარით შეამცირა

„იბერია ბიზნესჯგუფმა“ საკუთარი აქტივების ნაწილი 2 ბანკს გადასცა. საუბარია „თიბისი ბანკსა“ და „საქართველოს ბანკზე“.

როგორც კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი დავით გოგორიშვილი კომერსანტთან საუბრისას აცხადებს, ბანკებს აქტივები სასესხო ვალდებულებების შემცირების მიზნით, გამოსყიდვის პირობით გადაეცა.

გოგორიშვილი არ ასახელებს, რა ოდენობის სესხი აქვს კომპანიას აღებული, თუმცა, აცხადებს, რომ ამ გადაწყვეტილებით კომპანიამ არსებული სესხი 8 მილიონი დოლარით შეამცირა.




— ამ ორ ბანკს 4 სერვისცენტრი გადაეცა. ალმაშენებლის ხეივანზე მდებარეობს ყველა, – აცხადებს გოგორიშვილი.

კონკრეტულად რომელ 4 სერვისცენტრზეა საუბარი, ამას კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი არ აკონკრეტებს.

„იბერია ბიზნესჯგუფს“ აღმაშენებლის ხეივანში 5 სერვისცენტრი აქვს.

მე-9 კმ-ზე მდებარეობს „მიცუბიში მოტორსის ცენტრი“, სადაც განთავსებულია ასევე „იბერია ბიზნესჯგუფის“ ცენტრალური ოფისი.

დანარჩენი 4 ცენტრიც დავით აღმაშენებლის ხეივანზეა – „შკოდა ავტოს ცენტრი“, „სეატი“, „ფოლკსვაგენის ცენტრი“, „კია მოტორსის ცენტრი“.

სავარაუდოდ, სწორედ ეს 4 სერვისცენტრი გადასცა „იბერია ბიზნესჯგუფმა“ 2 კომერციულ ბანკს.

„იბერია ბიზნესჯგუფი“ 1999 წელს შეიქმნა. დღეისთვის ის საქართველოს ბაზარზე არსებულ ყველაზე დიდ საავტომობილო ჰოლდინგს წარმოადგენს, რომელიც მოიცავს როგორც ახალი ავტომობილების გაყიდვას, ასევე ავტოსერვისს, ავტოსათადარიგო ნაწილებს, ზეთებსა და საბურავებს.

**სოფო ქსოვრელი,**
**კომერსანტ.გე**

# ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ნორა კვიციანი გაამართლა

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ნორა კვიციანის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი გააუქმა და გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შემდეგ, ამავე კოდექსის 310-ე მუხლის „ზ1“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2016 წლის 17 ნოემბერს, მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა მსჯავრდებულ ნორა კვიციანის მიმართ განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო.

ამ გადაწყვეტილების მიღებამდე აღნიშნულ საქმეებზე ჩატარდა ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, დაიკითხნენ ახალი მოწმეები, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, შესწავლილ იქნა საგამოძიებო და სასამართლო საქმის მასალები, მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებები და ფაქტები, რის შედეგადაც სრულად გამოირიცხა ნორა კვიციანის მხრიდან დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

კერძოდ, გამოძიებით დადგინდა, რომ ნორა კვიციანს სამართალდამცავებმა თავისუფლება აღუკვეთეს უკანონოდ და მას ბრალდება წარუდგინეს ყალბი მტკიცებულებების საფუძველზე.

2006 წლის 25 ივლისს, კოდორში განვითარებული მოვლენების დროს, ბატალიონ „მონადირის“ ხელმძღვანელის ემზარ კვიციანის და მისი თანამებრძოლების დაკავების მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული დანაყოფები შევიდნენ კოდორის ხეობაში, სადაც ნათესავებთან ერთად იმყოფებოდა ემზარ კვიციანის და ნორა კვიციანი, რომელსაც არანაირი წინააღმდეგობა სამართალდამცავებისთვის არ გაუწევია.

მიუხედავად ამისა, ნორა კვიციანის, ადგილობრივი მოსახლეობის და კოდორისგან ჩამოცილების და გაქცეულ ემზარ კვიციანზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით, სამართალდამცავებმა გადაწყვიტეს ნორა კვიციანის შეპყრობა.

კოდორის ხეობის დაკავებიდან მეორე დღეს, 27 ივლისს, შს სამინისტროს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს ნორა კვიციანს და ყოველგვარი დაკავების ოქმის შევსების და სამართლებრივი პროცედურების დაცვის გარეშე, მისი უფლებების უხეში დარღვევით, იგი გადაიყვანეს თბილისში მოდულის შენობაში და მხოლოდ 29 ივლისს, მისი შეპყრობიდან 2 დღის შემდეგ დაიწყეს ყალბი მტკიცებულებების შექმნით პროცესების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა.

კერძოდ, სამართალდამცავების ოფიციალური ვერსიით, ნორა კვიციანი დაკავება თითქოს მოხდა 29 ივლისს, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის ამოღების შემდეგ. მაშინ, როდესაც ახალი გამოძიებით დადგინდა, რომ ნორა კვიციანის საცხოვრებელ ბინაში არანაირი ჩხრეკა არ ჩატარებულა, ჩხრეკაში მონაწილე სამართალდამცავები კოდორის ხეობაში საერთოდ არ ყოფილან და კოდორის ხეობაში მათი შესვლისას მისი საცხოვრებელი სახლი ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან სიტუაციის მართვის შტაბად გამოიყენებოდა, ნორა კვიციანი კი, უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილი, მოდულის შენობაში ჰყავდათ გადაყვანილი.

ნორა კვიციანის ბრალდების დამძიმების და მისთვის მძიმე სასჯელის დაკისრების მიზნით, მას ასევე წარუდგინეს მითვისების ცრუ ბრალდება, თითქოს 2005 წელს, მან ჰუმანიტარული საქონელი, ნაცვლად სოფელ ჩხალთის მოსახლეობისთვის დარიგებისა, თავად მიითვისა და ასევე თითქოს იგი მოუწოდებდა ბატალიონ „მონადირის“ წევრებს, არ დამორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას.

აღნიშნული ბრალდებები სრულად იქნა გამორიცხული ახალი გამოძიებით და დადასტურდა ნორა კვიციანის უდანაშაულობა წარდგენილ ბრალდებებში.

– ცრუ ბრალდების საფუძველზე ნორა კვიციანმა საპატიმრო დაწესებულებაში 6 წელი გაატარა და მისი გათავისუფლება მხოლოდ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ 2012 წლის ნოემბერში მოხერხდა, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებული ნორა კვიციანი სამივე ეპიზოდში გაამართლა.



# მკვლელობა თუ უბედური შემთხვევა

## გარდაცვლილი ტყის მცველის ოჯახი მკვლელობის ვერსიაზე საუბრობს

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ შიდა ქართლის სოფელ ხოვლეს ტყეში 48 წლის რეინჯერი კახაბერ ყურაშვილი გარდაცვლილი იპოვეს.

გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ტყის მცველი სახლიდან მიმდინარე წლის 25 თებერვალს გავიდა.

უწყებაში ამბობენ, რომ გარდაცვლილს დაზიანება თავისა და მხრის არეში აღენიშნება.

ნიუპოსტი ინფორმაციის დასაზუსტებლად შინაგან საქმეთა სამინისტროსაც დაუკავშირდა, სადაც აღნიშნეს, რომ გამოძიება სსკ-ის 116-ე მუხლით დაიწყო, რაც სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობას გულისხმობს.

ამ ეტაპზე გამოძიების ვერსიას არ ენდობიან გარდაცვლილი რეინჯერის ოჯახის წევრები. მათი თქმით, ახალგაზრდა მამაკაცი თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმით არის მოკლული.

ყურაშვილის მეუღლე აცხადებს, ტყის მცველს თავში შეშის ნაჭერი აქვს ჩარტყმული, რომელიც, მისივე ინფორმაციით, იქვე, შემთხვევის ადგილზე გდია.

სოფლის მოსახლეობა ამბობს, რომ შემთხვევის ადგილზე ფიზიკური დაპირისპირების კვალიც შეინიშნება.



– ჩემი ქმარი არ ავადმყოფობდა, არაფერს იტკივებდა, სრულიად ჯანმრთელი იყო. ეგ მოკლულია. განგებ მოკლეს, – აღნიშნავს გარდაცვლილის მეუღლე.

თვითმხილველების თქმით, გარდაცვლილს თავის ქალა ჩამტვრეული აქვს, რაც ძალადობის ფაქტს ადასტურებს.

– ეს ამბავი ასე არ ჩაივლის, ყველაფერს გავიგებთ, ვინ დადიოდა, ყველამ იცის, – თქვა მეზობელმა.

ნიუპოსტმა იმ ყოფილი მეტყევის ჩაწერა მოახერხა, რომელმაც გარდაცვლილი რეინჯერის ცხედარი ერთ-ერთმა პირველმა ნახა.

ივანე ბითაძე ფიქრობს, რომ რეინჯერ კახაბერ ყურაშვილსა და მისთვის უცნობ პიროვნებას შორის ფიზიკურ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, რის შემდეგაც 48 წლის რეინჯერი თავის არეში მიყენებული ტრავმის შედეგად გარდაიცვალა, მკვლელობის შემდეგ კი მისი ცხედარი პირუტყვმა დაგლიჯა.

– მეც ყოფილი მეტყევე ვარ, ხმა გამოვიდა, კახა დაიკარგაო და ცხენზე დავჯექი და ავედი ტყეში. კარგად ვიცი ეგ ტერიტორია და გავიქეცი, ავედი. მერე კასპის სატყეოს უფროსიც ამოვიდა თავის თანამშრომლებით. გავყევი ცხენის ნავალს და ნივის მარკის მანქანა იყო შესული, ცხენიც იქ იყო შეყოლილი.

რომ შევედით, იქ პური იყო ნაჭამი და გზიდან ხუთ მეტრში ეგდო მიცვალებული. შეშა იყო სისხლიანი, თავთან ეგდო. შეჭმული ჰქონდა სახე. შეშა მხეცმა დაარტყა? ნაჩხუბარი იყო და კაცი ხუთი მეტრის იქით ეგდო. მერე ჩვენ პოლიციას დავურეკეთ და, რომ ამოვიდნენ, აღარ მიგვიშვეს, – აცხადებს ივანე ბითაძე.

**დავით ჯაბაშვილი, ნიუპოსტი**

# ეგვიპტელი ბიზნესმენი დღეს საგანგებო განცხადებას გააკეთებს

ეგვიპტელი ბიზნესმენი სამეხ ჰაბიბი „ყალბი მინდობილობის საფუძველზე 15 ათასი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის სხვა პირზე გადაფორმების საქმეზე“ დღეს საგანგებო განცხადებას გააკეთებს.

კომპანია „ჰაბიბკო ჯეოს“ მფლობელი 1 მარტს, 11:00 საათზე, სააპელაციო სასამართლოში იმ პროცესს დაესწრება, სადაც მისი საკუთრების – „მზიურთან“ მდებარე მიწის ნაკვეთის ყალბი მინდობილობით გასხვისების საკითხი განიხილება.

როგორც ინტერპრესნიუსს სამეხ ჰაბიბის ადვოკატმა თამარ აბესაძემ განუცხადა, „ჰაბიბკო ჯეოს“ 15 ათასამდე კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრმა ყალბი მინდობილობით თაღლითებზე დაარეგისტრირა, მათ კი ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიას მიჰყიდეს.



ადვოკატის ინფორმაციით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მინდობილობა, რომლითაც ეგვიპტელი ბიზნესმენის ქონება სხვაზე გადაფორმდა, ბათილად ცნო, თუმცა, ამის მიუხედავად, თბილისის საქალაქო სასამართლომ სამშენებლო კომპანია კეთილსინდისიერ მყიდველად მიიჩნია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც სამშენებლო კომპანია კეთილსინდისიერ მყიდველად იქნა ცნობილი, ეგვიპტელმა ბიზნესმენმა და მისი ინტერესების დამცველმა სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს.

# სომხური უაქციზო თამბაქოს რეალიზაციაზე პირი პასუხისგებაში მისცეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკის გარეშე რეალიზაციის ფაქტზე ერთი პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა სხვადასხვა სავაჭრო ობიექტში მალულად გაასაღა მარკირებას დაქვემდებარებული სომხური წარმოების უაქციზო სიგარეტი „მასტერი“. საგამოძიებო სამსახურის მიერ უაქციზო თამბაქოს ნაწარმი ამოღებულია ნივთმტკიცების სახით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 2-დან 4 წლამდე.




# უფლისციხის ბაზაზე ჯარისკაცმა სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო განცხადებას ავრცელებს, სადაც აღნიშნულია, რომ უფლისციხის სამხედრო ბაზაზე სამხედრო მოსამსახურემ თავისივე იარაღიდან გასროლა განახორციელა, რის გამოც სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო.

ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის უფლისციხის სამხედრო ბაზაზე განწესში მყოფმა სამხედრო მოსამსახურე ბ.შ-მ მასზე გაპიროვნებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა განახორციელა, რის შედეგადაც სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო.

შემთხვევიდან რამდენიმე წუთში ის სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. ექიმების შეფასებით, ამ დროისთვის მისი მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.




საავადმყოფოში იმყოფებოდნენ თავდაცვის მინისტრის მოადგილე ზაალ კაპანაძე და სამედიცინო დეპარტამენტის წარმომადგენლები.

მომხდარის შესახებ ინფორმირებული არიან დაშავებული სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრები.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება სსსკ 115-ე მუხლით.

# სპეცრაზმელი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა

კარალეთის საწვრთნელ ბაზასთან შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომელი სოსო ანესაშვილი დაიღუპა. შემთხვევა 25 თებერვალს მოხდა. როგორც ოჯახის წევრები აცხადებენ, შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც ანესაშვილი ნორმატივებს აბარებდა. ის დაზიანებებით გორის საავადმყოფოში გადაყვანისას გზაში გარდაიცვალა. როგორც ნიუპოსტს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს ანესაშვილი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა და გამოძიება სისხლის სამართლის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს.

# სიღნაღის სასამართლოში პატიმარი აერიათ

სიღნაღის სასამართლოში პროცესზე მისაყვანი პატიმარი აერიათ. სასამართლო პროცესი, რომელიც გუშინ, 28 თებერვალს, სიღნაღის რაიონის სასამართლოში უნდა გამართულიყო, კომიკური მიზეზის გამო გადაიდო.

– აღმოჩნდა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმარი ერთი და იმავე სახელით ირიცხებოდა, რის გამოც პროცესზე ჩემთვის უცნობი ბრალდებული წარადგინეს, – განაცხადა ბრალდებულის ადვოკატმა ზურაბ ბეგიაშვილმა.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს, სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით დაკავებული პირის ბრალეულობაზე უნდა ემსჯელა. საქმე ეხება სიღნაღში ტურისტის გაუპატიურებას, რის გამოც სამართალდამცველებმა ამ ბრალდებით ერთი პირი ერთი თვის წინ დააკავეს.

გუშინ პროცესი ჩაიშალა.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# მარინ ლე პენს ფინანსურ მაქინაციებს აბრალებენ




საფრანგეთის ულტრარადიკალური ნაციონალური ფრონტის ლიდერის მარინ ლე პენის გარშემო სკანდალები მძაფრდება.

ამისი დასტურია ლე პენის ყოფილი თანაშემწის, ნაფრის განცხადება. მან თქვა, რომ ნაციონალური ფრონტი ფინანსურ მაქინაციებს ეწევა.

— ჩემთან ფიქტიური კონტრაქტი გააფორმეს და ევროკავშირიდან მიღებული ფული არადანიშნულებისამებრ გამოიყენეს, — ამბობს ნაფრი.

მარინ ლე პენი პრეზიდენტად არჩევის შანსებს ინარჩუნებს, თუმცა სკანდალების შედეგად მისი პოზიციები შეირყა. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ნაციონალური ფრონტის ლიდერი პირველ ტურში გაიმარჯვებს, მაგრამ ეს საბოლოო გამარჯვებისათვის საკმარისი არ იქნება. ლე პენის კონკურენტი, ცენტრისტული ორიენტაციის მაკრონი, მეორე ტურში, სავარაუდოდ, 50%-ს მიიღებს, მარინ ლე პენი კი — 42%-ს.

— ექსპერტებისა და სოციოლოგების არ მჯერა! ტრამპსაც დამარცხებას უწინასწარმეტყველებდნენ. დარწმუნებული ვარ, რომ გავიმარჯვებ და პრეზიდენტად ამირჩევენ, — აცხადებს მარინ ლე პენი.

# რენატ ახმეტოვი გაკოტრების პირასაა?



ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მის ტერიტორიაზე მყოფი უკრაინელი ოლიგარქის რენატ ახმეტოვის ქარხნების ნაციონალიზაცია განახორციელოს. სეპარატისტების ლიდერმა ზახარჩენკომ განაცხადა, რომ ნაციონალიზაციის შემდეგ ამ ქარხნების მართვა პირდაპირ რუსეთიდან განხორციელდება.

— ასეთია ჩვენი პასუხი იმ ბლოკადაზე, რაც დონბასის წინააღმდეგ უკრაინელმა ნაციონალისტებმა მოაწყვეს, — ამბობს ზახარჩენკო.

დონბასიდან ქვანახშირის კონტრაბანდით როგორც სეპარატისტები, ასევე უკრაინელი ოლიგარქები უზარმაზარ მოგებას ნახულობდნენ, ქარხნების ნაციონალიზაცია კი უკრაინელ ოლიგარქებს, უწინარეს ყოვლისა კი ახმეტოვს, უზარმაზარ დარტყმას მიაყენებს.

— ახმეტოვი გაკოტრების პირასაა, — იტყობინება „სეგოდნია".

გაზეთ „დენ"-ის ცნობით, უკრაინაში ოლიგარქების გავლენა მცირდება და ახლო მომავალში ის კიდევ უფრო შემცირდება.

ცნობამ იმის თაობაზე, რომ შესაძლოა სეპარატისტებმა უკრაინული საწარმოები ხელში ჩაიგდონ, ოფიციალური კიევი შეაშფოთა. ვიცე-პრემიერმა ტუკამ, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიების საკითხებს კურირებს, განაცხადა, რომ უკრაინის კუთვნილი საწარმოების ნაციონალიზაცია დონბასის მოსახლეობისთვის კატასტროფით დასრულდება.

— სეპარატისტებს არ გააჩნიათ სხვა ბაზარი, გარდა უკრაინისა. თუკი ხსენებული საწარმოების ნაციონალიზაცია მოხდება, ეს მუშების დათხოვნებს და უმუშევრობის მკვეთრ ზრდას გამოიწვევს, რაც დონბასის ისედაც კატასტროფულ სოციალურ ფონს კიდევ უფრო გააუარესებს, — თვლის ტუკა.

# მთიან ყარაბაღში ხუთი აზერბაიჯანელი სამხედრო დაიღუპა

მთიან ყარაბაღში უკანასკნელი შეტაკებებისას ხუთი აზერბაიჯანელი სამხედრო დაიღუპა. ამის თაობაზე აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრო იუწყება.

მსხვერპლი სომხეთის შეიარაღებულ ძალებშიც არის.

რაც შეეხება სეპარატისტებს, როგორც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პირველი პირები ამბობენ, მათ შორის მოკლულები არ არიან.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# თურქეთს სირიაში ბუფერული ზონის შექმნა სურს

თურქეთის პრეზიდენტის მრჩეველმა ჩევიოქმა განაცხადა, რომ მის ქვეყანას სირიაში საკუთარი მიზნები გააჩნია.

— ჩვენ მივისწრაფით, რომ სირიაში 90 კმ-იანი ბუფერული ზონა შევქმნათ, — აცხადებს ჩევიოქი.

თურქეთის პრეზიდენტის მრჩეველმა აღნიშნა, რომ ბუფერული ზონის შექმნა ქალაქ მეჯბისის აღებით დასრულდება და ამის შემდეგ თურქეთი თავის სამხედრო ოპერაციას შეაჩერებს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# რიოს კარნავალზე 12 ადამიანი დაშავდა



რიო დე ჟანეიროში ყოველწლიური კარნავალი მიმდინარეობს, რომელიც მთელ მსოფლიოში ძალიან ცნობილია.

კარნავალში უამრავი ადამიანი მონაწილეობს, მაგრამ წელს რამდენიმე უსიამოვნო ინციდენტი მოხდა, რამაც, შესაძლოა, კარნავალის პოპულარობაზე ცუდად იმოქმედოს.

28 თებერვალს ერთ-ერთი საცეკვაო პლატფორმა, რომელზეც მოცეკვავეები იმყოფებოდნენ, ჩამოინგრა, რის გამოც 12 ადამიანი დაშავდა.

დაშავებულთა მდგომარეობა მძიმე არ არის.

რიოს კარნავალის დირექტორმა აიტონ ფრეიტასმა პრესასთან კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ის მომხდარის გამო შოკშია.

— პლატფორმა, რომელიც დაზიანდა, წინა კვირას სამჯერ შევამოწმეთ და მაშინ ყველაფერი რიგზე იყო. ყველანი შოკში ვართ და არ ვიცით, ეს ყველაფერი რას დავაბრალოთ. როგორც ჩანს, რიოს კარნავალი წელს ვიღაცამ დაწყევლა, — განაცხადა ფრეიტასმა.

# ზიმბაბვეს პრეზიდენტმა საკუთარ იუბილეზე ორი მილიონი ევრო დახარჯა




ზიმბაბვეს პრეზიდენტმა რობერტ მუგაბემ მონაწილეობა მიიღო ზეიმში, რომელიც მისი დაბადების 93 წლისთავის აღნიშვნას მიეძღვნა. საზეიმო ცერემონია როდსის კოლეჯის ტერიტორიაზე გაიმართა, რომელიც მატობოს ეროვნული პარკის მახლობლად მდებარეობს, ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქ ბულავაიოდან დაახლოებით 40 კილომეტრში. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სადღესასწაულო საღამო თითქმის ორი მილიონი ევრო დაჯდა.

ზეიმში ქვეყნის მმართველი ზიმბაბვეს აფრიკის ეროვნული კავშირის ათასობით წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. სტუმრებს 93 კილოგრამიანი ზიმბაბვეს სახის ტორტით გაუმასპინძლდნენ.

საკუთარ იუბილეზე მუგაბეს ეცვა საკუთარივე გამოსახულებებით დამშვენებული კოსტიუმი. მისი მეუღლე გრეისიც, რომელიც პრეზიდენტის შესაძლო მემკვიდრედაა მიჩნეული, მსგავს სამოსში იყო გამოწყობილი.

იუბილარის საზეიმო სიტყვა ერთ საათზე მეტხანს გაგრძელდა. მუგაბემ განაცხადა, რომ 37-წლიანი მმართველობის შემდეგ იგი არ აპირებს ძალაუფლების დათმობას.

ზიმბაბვე მსოფლიოს ერთ-ერთ უღარიბეს ქვეყნად ითვლება. ის უმძიმეს ეკონომიურ კრიზისში იმყოფება, მიმდინარეობს ჰიპერინფლაცია და ქვეყნის ბიუჯეტს უდიდესი დეფიციტი აქვს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ვაშინგტონში რუსეთის საელჩოს მოპირდაპირე ქუჩას, შესაძლოა, ბორის ნემცოვის სახელი ეწოდოს



ამერიკელმა სენატორმა მარკო რუბიომ კანონპროექტი წარადგინა, რომლის მიხედვითაც მას სურს, რომ ვაშინგტონში რუსეთის საელჩოს მოპირდაპირე ქუჩას მოკლული პოლიტიკოსის ბორის ნემცოვის სახელი დაერქვას.

ნემცოვი 2015 წლის 27 თებერვალს მოკლეს, როდესაც ის თავის მეგობარ გოგონასთან ერთად სეირნობდა.

მარკო რუბიოს თქმით, ნემცოვი ხშირად აკრიტიკებდა პუტინს და ცდილობდა, რუსეთში დემოკრატია განევითარებინა.

ამერიკელი სენატორის აზრით, ბორის ნემცოვის სახელობის ქუჩა ვაშინგტონში ყოველთვის შეახსენებს პუტინის რეჟიმს, რომ დემოკრატიის დამცველთა გაჩუმება ძალიან ძნელია და ოპოზიციონერთა დაშინება შეუმჩნეველი არ დარჩება.

ნემცოვის მკვლელობის რამდენიმე შემსრულებელი დააკავეს, მაგრამ, ვინ შეუკვეთა ეს დანაშაული, კვლავინდებურად უცნობია.

# გერმანიის პოლიციამ ბერლინში მდებარე მეჩეთები გაჩხრიკა

გერმანიის პოლიციამ ბერლინში მდებარე მეჩეთებში მასობრივი ჩხრეკა ჩაატარა. ჩხრეკის მიზეზი ტერაქტში ეჭვმიტანილ ანის ამრის მოკავშირეების პოვნა იყო. შეგახსენებთ, რომ 22 დეკემბერს ბერლინში ტერაქტი მოხდა, რომელსაც 40-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ტერაქტში მთავარი ეჭვმიტანილი ანის ამრი პოლიციამ რამდენიმე დღეში მოკლა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის მარტო არ მოქმედებდა.

ბერლინის პროკურატურის თქმით, ტერაქტის დღეს ამრი ერთ-ერთ მეჩეთს სტუმრობდა, ამიტომ მიმდინარეობს ბერლინში მდებარე მეჩეთების შესწავლა იმისთვის, რომ ტერორისტის მოკავშირეები იპოვონ.

ჩხრეკაში სულ 460 პოლიციელი მონაწილეობდა. ჯერჯერობით უცნობია, იპოვეს თუ არა მათ ანის ამრის მოკავშირეები.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09, 295-40-58 ჯემალი.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ფაჩულიას ყველაზე შედეგიანი მატჩი გოლდენ სტეიტში

ზაზა ფაჩულიამ გოლდენ სტეიტში ყველაზე შედეგიანი მატჩი ჩაატარა. რაც ოკლენდურ გუნდში გადავიდა, ქართველ ცენტრს ყველაზე მეტი – 15 ქულა ჰქონდა ჩაგდებული (22 დეკემბერს ბრუკლინთან), ხოლო ფილადელფიასთან (119:108) მოგებულ მატჩში ზაზამ არასრულ 15 წუთში 16 ქულა მიითვალა და გოლდენ სტეიტში პირადი რეკორდი დაამყარა.



ფაჩულიამ, რომელსაც ქომაგი ძირითადად დაცვით, ფარქვეშ მებრძოლ მოთამაშედ იცნობენ, თავისი ბომბარდირული თვისებები კარგად გამოავლინა. ფაჩულია არ ერიდებოდა შეტევას, თანაგუნდელებიც პასებს აწვდიდნენ და ქართველმა ცენტრმა თამაშიდან ხუთივე სროლა ჩააგდო, რასაც 7-დან 6 საჯარიმოც მოაყოლა.

16 ქულასთან ერთად ფაჩულიამ 5 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა. ოკლენდელებში ბომბარდირი კევინ დიურანტი გახდა, რომელმაც 33 წუთში 27 ქულა, 8 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. 21 ქულა კლეი ტომპსონის ანგარიშზე დაგროვდა, ხოლო სტეფ კარიმ 33 წუთში მხოლოდ 19 ქულა მიითვალა.

50 გამარჯვებითა და 9 მარცხით გოლდენ სტეიტი ნბა-ს ლიდერობას დამაჯერებლად ინარჩუნებს.

# პერესი ზიდანს, ისკოსა და ხამესს უშვებს?

ესპანურ გამოცემებზე დაყრდნობით, ფლორენტინო პერესმა ზაფხულში შეიძლება მთავარი მწვრთნელი ზინედინ ზიდანი გაუშვას.

მართალია, ფრანგი სპეციალისტი ტიტულებისთვის ბრძოლას აგრძელებს, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა ერთფეროვანი ფეხბურთის გამო გარკვეულ ცვლილებებზე ფიქრობს.

სავარაუდოდ, ეს გადაწყვეტილება პერესმა ვილიარეალთან მატჩის შემდეგ მიიღო. ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში რეალმა წვალებით მოუგო „ყვითლებს“.

ზიდანი მაშინვე გააკრიტიკა ხორხე ვალდანომ და ზიდანს რჩევა მისცა:

– ექსპერიმენტების დრო აღარ არის. ზიზუს გონს მოგება მართებს. არ შეიძლება თებერვლის თვეში სხვადასხვა ტაქტიკას ამუშავებდე. ვფიქრობ, შეუძლია ერთი ტაქტიკა აირჩიოს და სეზონის ბოლომდე სტილს არ უღალატოს, ახალი სქემების დამუშავებისთვის კი პრესეზონიც საკმარისია. ის, რაც ვილიარეალთან ვიხილეთ, უბრალოდ გამართლება იყო და სხვა არაფერი.

არაოფიციალური ინფორმაციით, ფლორენტინო პერესი ზიზუს შემცვლელად იურგენ კლოპს და პოჩეტინოს განიხილავს.



გავრცელებული ხმებით, პერესმა ნახევარმცველ ისკო ალარკონთან დაკავშირებით სერიოზული შემოთავაზება მიიღო და მისი გაყიდვის მომხრეა.

ისკოს შეძენის მსურველი მილანი გახლავთ, რომელიც ფეხბურთელის სანაცვლოდ 42 მილიონ ევროს იმეტებს.

ესპანური მედიის ცნობით, პერესმა იტალიელებთან კავშირი დაამყარა და შეჰპირდა, რომ ზაფხულში ისკოს გაშვებაზე სერიოზულად დაფიქრდება.

პერესმა მომხიბვლელი წინადადება მიიღო მეორე მილანურ კლუბ ინტერისგან – იტალიელები ხამეს როდრიგესის სანაცვლოდ 65 მილიონ ევროს ჩამოდიან, თავად ფეხბურთელთან კი 5 წლიანი კონტრაქტის გაფორმება სურთ.

# ლივერპული ლაკაზეტის შეძენას შეეცდება

ლივერპული ზაფხულში სერიოზულად გეგმავს გაძლიერებას და მერსისაიდელები ტრანსფერებში დიდი თანხის დახარჯვას აპირებენ.

მათი ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ფრანგული ლიონის ფორვარდი ალექსანდრ ლაკაზეტი იქნება, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ თავდამსხმელად ითვლება.



მიმდინარე სეზონში მან საფრანგეთის ჩემპიონატში უკვე 22 გოლი გაიტანა.

ლაკაზეტის შეძენა არსენალსაც სურს, ამიტომ ლივერპულისთვის ფრანგი ფორვარდის გადაბირება იოლი არ იქნება.

ლივერპული მზად არის, ამ ტრანსფერში 60 მილიონი ევრო გადაიხადოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# ზლატან იბრაჰიმოვიჩი: „მანჩესტერში გადასვლა შვილებმა მაიძულეს“

გასულ ზაფხულს პარი სენ ჟერმენიდან მანჩესტერ იუნაიტედში გადასულმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა უკვე მეორე ტიტული მოიგო. უემბლიზე, საუთჰემპტონთან ინგლისის ლიგის თასის ფინალში მან დუბლით გამოიჩინა თავი.



ამ დუბლმა მისი გოლების რაოდენობა მიმდინარე სეზონში 26-ს გაუტოლა, რაც იმას ნიშნავს, რომ იბრაჰიმოვიჩს მეტი გოლი აქვს გატანილი, ვიდრე პრემიერლიგაში მოასპარეზე ნებისმიერ ფეხბურთელს.

შვედმა ფინალში ანგარიშის გამხსნელი და გამარჯვების გოლები გაიტანა, რის შემდეგაც ჟოზე მოურინიომ იხუმრა, რომ იუნაიტედის გულშემატკივრები ზლატანის სახლის კართან უნდა მივიდნენ და მას დარჩენა აიძულონ.

35 წლის ფეხბურთელს მატჩის შემდეგ ჰკითხეს, გაკვირვებულია თუ არა იმით, რომ მისი სადებიუტო სეზონი წარმატებით მიმდინარეობს.

– არა, არა. ეს ვიწინასწარმეტყველე. ყველაფერი, რასაც ვფიქრობდი, ხდება. ერთადერთი ისაა, რომ სხვები ვერ ხედავენ. აქ კი იმისთვის მოვედი, რომ მათაც ვაჩვენო, რას ვხედავ მე და რას გავაკეთებ. სწორედ ამისთვის მოვედი, გამარჯვებისთვის და ვიმარჯვებ.

ასე უნდა გავაგრძელო, რადგან რაც მეტს ვიგებ, მით მეტად კმაყოფილი ვარ. ასაკში შესვლასთან ერთად გამარჯვებას უფრო აფასებ, ყველაფერი მოგებასა და ტიტულებზეა დამოკიდებული. ეს ჩემი 32-ე ტიტულია, სადაც კი წავედი, ყველგან რაღაცას ვიგებდი.

***– 2:0 დაწინაურების შემდეგ საუთჰემპტონმა მანოლო გაბიადინის გოლებით აღადგინა წონასწორობა, თუმცა 87-ე წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანა მოახერხეთ. რა გრძნობა დაგეუფლათ?***

– კარგი იყო, ძალიან კარგი. როდესაც 2:2 გახადეს ანგარიში და ჩვენ დაღლილები ვჩანდით, მაგრამ მერე შანსი მივიღე და გავიტანე. ერთი რამ ფანტასტიკურად ჩააწოდა.

***– სადაც ითამაშეთ, ყველა ქვეყანაში, ტიტული მოიგეთ. ხართ თუ არა ყოველთვის გამარჯვებული?***

– ასე ჩანს. სადაც არ უნდა წავიდე, ვიმარჯვებთ და ამის გამო ბედნიერი ვარ. ხანგრძლივი და ფანტასტიკური კარიერა მქონდა. ინგლისში მოსვლამდე შემეძლო უბრალოდ დავმჯდარიყავი და იმით დავკმაყოფილებულიყავი, რასაც მივაღწიე. მაგრამ მე ასეთი არ ვარ, მე კმაყოფილი არასდროს ვარ, უფრო მეტი მინდა, ჯერ კიდევ დამშეული ვარ, ამ ასაკშიც კი.

იუნაიტედთან ერთად მოგებული ჩემი მეორე ტიტულია და სუპერ ბედნიერი ვარ. აქ მოსაგებად მოვედი და ვიგებ კიდეც.

***– მატჩის შემდეგ რას გრძნობდით?***

– საოცარი შეგრძნებაა, რადგან მატჩი მოვიგეთ. ადვილი არ იყო, რთული გამოდგა, კარგი მეტოქე გვყავდა, მაგრამ ყველაფერი გამარჯვების საკითხია. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად კარგი ხარ ან რამდენად ცუდად თამაშობ, თუ იმარჯვებ, იმას აღწევ, რაც გინდოდა და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

***– ბოლო დროს საუბრები მიდის მანჩესტერში დარჩენა-არდარჩენის საკითხზე.***

– ვნახოთ, რა მოხდება. ვფიქრობ, კარიერაში შესაფერისი მომენტები უნდა გამოძებნო. ინგლისში მანამდე იმიტომ არ მოვედი, რომ ასეთი მომენტი არ დამდგარა.

***– აბა რა იყო ამის მიზეზი?***

– ორივე შვილს სურდა იუნაიტედში ჩემი გადასვლა, მე კი სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი, სანამ მაგიდაზე შეთავაზება არ მივიღე და ჟოზემ არ დამირეკა. მასთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაქვს. როცა დამირეკა, ერთადერთი რამ ვუთხარი – მითხარი, რა ნომერი უნდა მოვირგო.

***– მომავალიც შვილებზე იქნება დამოკიდებული?***

– ამ სეზონში ჯერ კიდევ ორი თვეა დარჩენილი, ვნახოთ, რას მოვიფიქრებ, რა სიტუაცია იქნება. ვიღაცამ ამბავი შეთხზა, თითქოს ჩემპიონთა ლიგაზე თუ ვერ გავედით, კონტრაქტს არ გავახანგრძლივებ. ამას არავითარი კავშირი არ აქვს ჩემს გადაწყვეტილებასთან.

# მგლებმა მწვრთნელი მეთოფეებს წაართვეს



გერმანულმა ვოლფსბურგმა, რომელიც თავისი ქვეყნის ჩემპიონატში მძიმე მდგომარეობაშია, მე-14 ადგილზე იმყოფება და გავარდნის საფრთხის წინაშეა, სეზონში მესამე მწვრთნელი გამოიცვალა და მას ამიერიდან ანდრიეს იონკერი გაწვრთნის.

იონკერი ისმაელს ჩაანაცვლებს, რომლისთვისაც კვირას ბრემენის ვერდერთან საშინაო მარცხი საბედისწერო გამოდგა.

გერმანელი მწვრთნელი ლონდონის არსენალის აკადემიაში მუშაობდა და გუნდში ასისტენტად მეთოფეთა ექსფორვარდი, შვედი ფრედი ლიუნგბერგი მიიყვანა.

ანდრიეს იონკერი:

– არ დავმალავ და ეს შემოთავაზება ჩემთვის სიურპრიზი გახლდათ. საინტერესო და დიდი გამოწვევაა, რომელიც სიამოვნებით მივიღე. 40 ქულაზე რაც შეიძლება მალე უნდა ავიდეთ.



# ჰიტცფელდი ბაიერნის კაპიტნად მიულერს განიხილავს

გერმანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას შემდეგ, რაც მიუნხენის ბაიერნის ამჟამინდელი კაპიტანი, მიმდინარე სეზონის ბოლოს, საფეხბურთო კარიერას დაასრულებს, კლუბში ხსენებული წოდების დაკავების ორი ძირითადი კანდიდატი განიხილება – მიუნხენის ბაიერნის კარის დარაჯი, პირველი ვიცე-კაპიტანი, მანუელ ნოიერი და რეკორდმაისტერის შემტევი ნახევარმცველი თომას მიულერი.

სწორედ ეს ორი საკვანძო ფეხბურთელი მოიაზრება, ზემოხსენებული კაპიტნის სამკლაურის ჩაბარების მთავარ პრეტენდენტებად.

ბავარიელთა ყოფილი მწვრთნელი, ლეგენდარული ოტმარ ჰიტცფელდი კი მიიჩნევს, რომ ყველაზე მეტად გუნდის კაპიტნის წოდებას ბაიერნის თავდამსხმელი თომას მიულერი იმსახურებს.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# შედეგები

**27 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლესტერი-ლივერპული .................. 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 26 | 20 | 3 | 3 | 55-19 | 63 |
| 2.ტოტენჰემი | 26 | 15 | 8 | 3 | 50-18 | 53 |
| 3.სიტი | 25 | 16 | 4 | 5 | 51-29 | 52 |
| 4.არსენალი | 25 | 15 | 5 | 5 | 54-28 | 50 |
| 5.ლივერპული | 26 | 14 | 7 | 5 | 55-33 | 49 |
| 6.მანჩესტერი | 25 | 13 | 9 | 3 | 38-21 | 48 |
| 7.ევერტონი | 26 | 12 | 8 | 6 | 42-27 | 44 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 26 | 11 | 7 | 8 | 36-32 | 40 |
| 9.ვესტ ჰემი | 26 | 9 | 6 | 11 | 35-44 | 33 |
| 10.სტოკი | 26 | 8 | 8 | 10 | 30-40 | 32 |
| 11.ბარნლი | 26 | 9 | 4 | 13 | 28-37 | 31 |
| 12.უოტფორდი | 26 | 8 | 7 | 11 | 30-43 | 31 |
| 13.საუთჰემპტონი | 25 | 8 | 6 | 11 | 28-31 | 30 |
| 14.ბორნმუთი | 26 | 7 | 5 | 14 | 36-51 | 26 |
| 15.ლესტერი | 26 | 6 | 6 | 14 | 27-44 | 24 |
| 16.სუონსი | 26 | 7 | 3 | 16 | 32-57 | 24 |
| 17.მიდლსბრო | 26 | 4 | 10 | 12 | 19-28 | 22 |
| 18.კრ.პალასი | 26 | 6 | 4 | 16 | 33-46 | 22 |
| 19.ჰალი | 26 | 5 | 6 | 15 | 23-50 | 21 |
| 20.სანდერლენდი | 26 | 5 | 4 | 17 | 24-48 | 19 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზ.პაული-კარლსრუე ...................... 5:0

**იტალია. სერია ა**

ფიორენტინა-ტორინო .................. 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 26 | 22 | 0 | 4 | 55-17 | 66 |
| 2.რომა | 26 | 19 | 2 | 5 | 57-23 | 59 |
| 3.ნაპოლი | 26 | 16 | 6 | 4 | 60-29 | 54 |
| 4.ატალანტა | 26 | 16 | 3 | 7 | 42-26 | 51 |
| 5.ლაციო | 26 | 15 | 5 | 6 | 45-29 | 50 |
| 6.ინტერი | 26 | 15 | 3 | 8 | 41-27 | 48 |
| 7.მილანი | 26 | 14 | 5 | 7 | 37-29 | 47 |
| 8.ფიორენტინა | 26 | 11 | 8 | 7 | 44-37 | 41 |
| 9.ტორინო | 26 | 9 | 9 | 8 | 48-42 | 36 |
| 10.სამპდორია | 26 | 9 | 8 | 9 | 31-32 | 35 |
| 11.კიევო | 26 | 10 | 5 | 11 | 28-34 | 35 |
| 12.კალიარი | 26 | 9 | 4 | 13 | 35-52 | 31 |
| 13.სასუოლო | 26 | 9 | 3 | 14 | 35-42 | 30 |
| 14.უდინეზე | 26 | 8 | 5 | 13 | 28-35 | 29 |
| 15.ბოლონია | 26 | 7 | 7 | 12 | 24-39 | 28 |
| 16.ჯენოა | 26 | 6 | 8 | 12 | 28-41 | 26 |
| 17.ემპოლი | 26 | 5 | 7 | 14 | 15-37 | 22 |
| 18.პალერმო | 26 | 3 | 6 | 17 | 22-50 | 15 |
| 19.კროტონე | 26 | 3 | 4 | 19 | 21-45 | 13 |
| 20.პესკარა | 26 | 2 | 6 | 18 | 27-57 | 12 |

**იტალია. სერია ბ**

ბარი-ბრეშა .................................. 2:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

რეიმსი-გაზელეკი .......................... 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

აროუკა-ბელენენსეში ...................... 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ვერია-ატრომიტოსი ........................ 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

გალათასარაი-ბეშიქთაში ............... 0:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ბოლესლავი-ტეპლიცე ..................... 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

რუხი-სლასკი ................................. 2:0

**დანია. სუპერლიგა**

ლუნგბიუ-ესბიერგი ........................ 0:0

ვიბორგი-ორხუსი ........................... 1:1

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# როდის მივმართოთ კარდიოლოგს

ეკა ირემაშვილი



მიუხედავად იმისა, რომ სადღეისოდ კარდიოლოგებს მართლაც ბევრი შეუძლიათ, დიდი წარმატებებია მიღწეული ავადმყოფთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხში. გულის დაავადებები და, კერძოდ, გულის სისხლძარღვების ან კორონარული სისხლძარღვების ათეროსკლეროზული დაავადება კვლავ რჩება სიკვდილობის უმთავრეს მიზეზად მთელ მსოფლიოში. ყოველწლიურად ამ დაავადების გამო იღუპება 6-7 მილიონი ადამიანი და მათი უდიდესი ნაწილი ვერ აღწევს ექიმამდე, ამიტომ სპეციალისტთან დროულ ვიზიტს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

როდის მივმართოთ კარდიოლოგს და რა სიმპტომებს უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ დაავადება არ გართულდეს? – ამ თემებზე სისხლძარღვთა და გულის დაავადებათა ცენტრის კარდიოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, მედიცინის დოქტორი ზურაბ ფაღავა საუბრობს.

**ზურაბ ფაღავა:**

– მიუხედავად იმისა, რომ სადღეისოდ კარდიოლოგებს მართლაც ბევრი შეუძლიათ, დიდი წარმატებებია მიღწეული ავადმყოფთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხში. გულის დაავადებებები და, კერძოდ, გულის სისხლძარღვების ან კორონარული სისხლძარღვების ათეროსკლეროზული დაავადება კვლავ რჩება სიკვდილობის უმთავრეს მიზეზად მთელ მსოფლიოში.

ყოველწლიურად ამ დაავადების გამო იღუპება 6-7 მილიონი ადამიანი და მათი უდიდესი ნაწილი ვერ აღწევს ექიმამდე. ამიტომ მცდარია აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანს შეუძლია იცხოვროს ისე, როგორც მას სურს და მხოლოდ მაშინ, როდესაც გაჩნდება გარკვეული სიმპტომები, მიმართოს ექიმს. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროულ და ადეკვატურ პროფილაქტიკას ალტერნატივა არ გააჩნია.

***– რა ძირითადი მიზეზებია იმისთვის, რომ ადამიანმა მიმართოს ექიმს?***

– არსებობს რამდენიმე მიზეზი იმისა, თუ როდის უნდა მიმართოს პაციენტმა ექიმს:

ოჯახის ან სხვა რომელიმე ექიმის რეკომენდაცია – როდესაც ოჯახის ან რომელიმე სხვა ექიმი გირჩევთ, ინახულოთ კარდიოლოგი, გააკეთეთ ეს აუცილებლად მაშინვე და არ გადადოთ სამომავლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ შეიძლება, ეს ინანოთ.

გულის ტკივილი – ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი უნდა იყოს კარდიოლოგთან მიმართვის.

***– რა ჩივილები ახასიათებს გულის ტკივილს?***

– სიამოვნებით შემოგთავაზებთ ამ ჩივილების აღწერილობას:

მკერდის არეში შებოჭვის, დაწოლის, წვის, ტკივილის ან დისკომფორტის შეგრძნება;

ტკივილი ან ზემოაღწერილი ჩივილები, რომელიც ვრცელდება ბეჭის არეში, კისერში, მკლავებში ან მკლავში, ყბაში.

მკერდის არეში ტკივილი ან ზემოაღწერილი ჩივილების ინტენსივობის ზრდა.

ტკივილი ან ზემოაღწერილი ჩივილები, რომლებიც არ ქრება ან სუსტდება მოსვენების მდგომარეობაში.

ტკივილი ან ზემოაღწერილი ჩივილები, რომელიც კომბინირებულია: ცივი, წებოვანი ოფლი, სიფერმკრთალე, ქოშინი, გულისრევა, პირღებინება, თავბრუ, გონების დაკარგვა, აუხსნელი სისუსტე, დაღლილობა, ჩქარი და არარეგულარული პულსი, დაბალი არტერიული წნევა, შფოთვა, გულის ფრიალი.

***– არის თუ არა ამ დროს მნიშვნელოვანი პაციენტის ოჯახის წევრების სამედიცინო ისტორია?***

– რა თქმა უნდა, ოჯახური ისტორია მნიშვნელოვანია. როდესაც ერთ-ერთ ოჯახის წევრს აქვს გულის პრობლემები, დიაგნოსტირებული ახალგაზრდა ასაკში.

***– კიდევ რას უნდა მიაქციოს ყურადღება პაციენტმა?***

– საყურადღებოა ქოლესტერინის მაღალი დონე, მაღალი არტერიული წნევა, არის ან იყო თუ არა პაციენტი მწეველი, შაქრიანი დიაბეტი, რთული ორსულობა, პრეეკლამპსია.

***– დღეს მოდაშია ფიზიკური ვარჯიში და ტრენაჟორებზე სიარული. ეს ფაქტორი თუ არის საყურადღებო?***

– დიახ. ფიზიკური ვარჯიშების დაწყება საყურადღებოა მაშინ, როდესაც თქვენ იწყებთ ტრენირებას და ხართ 40 წელზე მეტის.

არანაკლებ საყურადღებოა ქრონიკულად, ხანგრძლივად მიმდინარე ინფექციური დაავადებები, მაგალითად, ღრძილების პათოლოგია.

## ავიაკომპანიები „უფასო“ სადილს აღადგენენ

ამერიკული ავიაკომპანიები „უფასო“ სადილს აღადგენენ, ვინაიდან მგზავრები სინამდვილეში მის საფასურს მაინც იხდიან.

მაგალითად, გაზაფხულზე დელტა ეირ ლაინსი მგზავრებს უფასო სადილს უფრო „გრძელ“ რეისებზე, ძირითადად საკონტინენტთაშორისო ფრენებზე შესთავაზებენ, ამავე დროს დელტა უკვე სთავაზობს შიდა რეისების ზოგიერთი კატეგორიის მგზავრებს სპირტიან სასმელებს.

სინამდვილეში თვითმფრინავში კვება უფასო არ არის, ვინაიდან მგზავრები მის საფასურს სხვა სახით იხდიან. წინა წლებისგან განსხვავებით, როდესაც კომპანიები მგზავრებს საჭმელს და სასმელს სთავაზობდნენ, მათი ღირებულების კომპენსირება იშვიათად ხდებოდა.

მაგალითად, აშშ-ში გადამზიდავებმა თვითმფრინავის სალონში სავარძლების დამატება დაიწყეს, რათა ერთ რეისზე მგზავრების რაოდენობა გაეზარდათ.

კალეიდოსკოპი

## შანელი გაბრიელ შანელის პატივსაცემად ჩანთასა და არომატს შექმნის



ფრანგული მოდის სახლი შანელი შექმნის ჩანთას და არომატს, მისი დამაარსებლის გაბრიელ შანელის პატივსაცემად.

როგორც მოდის სახლის პრეზიდენტმა ბრუნო პავლოვსკიმ განაცხადა, 2017 წელი კომპანიისთვის იქნება უნიკალური, ვინაიდან ის ერთდროულად არომატისა და ჩანთების შექმნით იქნება დაკავებული – ბიზნესის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორიით.

გარდა ამისა, 2017 წელს შანელი საათების და საიუველირო ნაწარმის კოლექციის წარმოდგენას გეგმავს, რომელიც ასევე შანელს მიეძღვნება.

აღსანიშნავია, რომ პროდუქციის სახელწოდებისთვის მოდელიერის ნამდვილი სახელის გაბრიელის გამოყენებაა დაგეგმილი და არა მისი მეტსახელის კოკოს. „გაბრიელის წლის“ პატივსაცემად მოდის სახლმა უკვე გამოუშვა ვიდეო, რომელიც თავის დამფუძნებელს მიეძღვნა.

## ინდურმა შტატმა „მდიდრული“ ქორწილები აკრძალა



ინდოეთის შტატმა ჯამუ და ქაშმირმა „მდიდრული“ ქორწილები აკრძალა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი მას მედია ავრცელებს.

კერძოდ, 2017 წლის 1 აპრილიდან საქორწინო ცერემონიის სტუმრების რაოდენობა საპატარძლოს მხრიდან არ უნდა აღემატებოდეს 500-ს, ხოლო სასიძოს მხრიდან 400 ადამიანს. ნიშნობაზე 100 ადამიანის სტუმრობაა დაშვებული. გარდა ამისა, აკრძალულია მოსაწვევებთან ერთად ტკბილეულის და გამომშრალი ხილის გაგზავნა.

ასევე, ნებისმიერ კერძო, საზოგადოებრივ და სამთავრობო ღონისძიებაზე დაუშვებელია ხმამაღლა მოლაპარაკეებისა და მაშხალების გამოყენება.

ასეთი სახით სურს ადგილობრივ ხელისუფლებას, ბოლო მოუღოს თანხების და პირველადი საჭიროების ნივთების განუსაზღვრელ ხარჯვას.

## ომეგამ 50 წლისთავთან დაკავშირებით ოქროს საათი გამოუშვა

შვეიცარიულმა კომპანია ომეგამ ერთ-ერთი საკუთარი ხაზის დე ვილეს 50 წლისთავთან დაკავშირებით ოქროს საათი გამოუშვა.




პირველად ეს მოდელები გაყიდვაში 1967 წელს გამოჩნდა, იმ დროს, როდესაც ჯგუფმა ბითლზმა გამოუშვა ალბომი Sgt. Pepper,s Lonely Hearts Club Band-I, ხოლო ქირურგმა კრისტიან ბარნარდმა მსოფლიოში პირველი ადამიანის გულის გადანერგვის წარმატებული ოპერაცია განახორციელა.

იუბილეს აღსანიშნავად ომეგამ სამი ახალი მოდელი შექმნა 18 კარატიანი თეთრი, წითელი და ყვითელი ოქროსგან. საათის ოქროს ისრები მისი კორპუსის ფერს გაიმეორებს. საერთო დიზაინს კი „ნოსტალგია“ ეწოდა.

წითელი ოქროსგან დამზადებული მოდელის გაყიდვა მარტიდან დაიწყება, ხოლო დანარჩენი ორი მოდელის გაყიდვა მოგვიანებითაა დაგეგმილი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 1 მარტი



**ვერძი** – მეტისმეტი გულახდილობა საქმეს გააფუჭებს. ინტერესი გიღვივდებათ მისტიკისა და ფილოსოფიისადმი. **კურო** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. ნებისმიერი წამოწყება გაამართლებს, თუმცა ვარსკვლავები კომპრომისზე წასვლას მაინც გირჩევენ. **ტყუპები** – ფინანსები გეზრდებათ. შემოსავლის ახალ წყაროს მიაგნებთ. გელით რომანტიკული ვახშამი. **კირჩხიბი** – ჰარმონიული, მშვიდი დღეა. თავს ნუ გადაიღლით. დაისვენეთ ერთგული მეგობრების გარემოცვაში. **ლომი** – საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. დაგეგმილი დასვენების გადადება მოგიწევთ. **ქალწული** – თქვენი ექსცენტრულობა, საღი აზროვნება გარშემომყოფებს გააოცებს. უსაფუძვლო თავდაჯერებულობა ჩიხში შეგიყვანთ. **სასწორი** – ემოციებს ნუ აჰყვებით. მოითმინეთ და მიუტევეთ. დღეს, შესაძლოა, სხვისი შეცდომების გამოსწორება მოგიხდეთ. **ღრიანკალი** – არ იაქტიუროთ. არასასიამოვნო ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. **მშვილდოსანი** – საქმიან სფეროში ახალი პერსპექტივები გადაგეშლებათ. შესაძლოა, ძალზე საინტერესო შემოთავაზება მიიღოთ. **თხის რქა** – ახალი ნაცნობობა ან მოულოდნელი შეხვედრა თქვენს საქმეებზე ნეგატიურად აისახება. ემოციები აკონტროლეთ. **მერწყული** – შესაფერისი დღეა ახალი საქმის დასაწყებად. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **თევზები** – ნუ იჯიუტებთ. თუ ვითარება მოითხოვს, კომპრომისი გამართლებულია. საქმეს დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 2. ზღვის სიღრმის საზომი ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყო; 3. წარწერა საფლავის ქვაზე; 4. ორგანიზმის შეგუება გარემო პირობებთან; 5. ბაღ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 6. ამერიკის კინოაკადემიის პრიზი; 8. ტყვია-თუთიის საბადო სამაჩაბლოში; 11. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 14. ცხოველის გარეგნული შესახედაობა, აგებულება; 15. ქართველი მგოსანი; 16. ქართული გაზეთი; 17. თავისივე ქონში ჩახრაკული, ცხვრის გულ-ღვიძლისგან მომზადებული კერძი; 19. საყვარლის კმაყოფაზე მცხოვრები მამაკაცი; 21. ველორიქშა ინდოეთში; 22. ჯაზის ერთ-ერთი სტილი.

**თარაზულად**; 1. ორგანიზმის მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 5. სოფელი ხევსურეთში; 7. პარაზიტი სოკოებით გამოწვეული ადამიანის დაავადება; 9. საგნის სახეცვლილება; 10. თავფეხიანთა კლასის ზღვის მოლუსკი, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 12. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 13. შინაური კურდღელი; 16. უნიკალური, ძალზე იშვიათი ნივთი; 17. არომატული, მატონიზებელი სასმელი; 18. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 20. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 22. მდინარის მონაკვეთი ორ მეზობელ კაშხალს შორის; 23. შრილანკის დედაქალაქი; 24. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 25. ბაღჩეული ხილი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კაპიტანი; 2. ოცელოტი; 3. კიაზო; 4. კეტჩერი; 5. დუმბაძე; 10. ჯეჯელავა; 11. სანგვინიკი; 12. ერლიფტი; 15. აბსოლუცია; 16. აიაქსი; 17. სურჩინა; 20. ტენგე.

**თარაზულად:** 6. ჰალუცინაცია; 7. ბერმუხა; 8. დიონისე; 9. კარატი; 13. პელე; 14. მაჭარი; 18. ფიროსმანი; 19. ზურნა; 21. ჩექმა; 21. ღილინი; 23. განდეგილი; 24. აგასფერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. კოლხეთი; 3. პაპირუსი; 4. ორანჟერეა; 5. ქეიფი; 6. იემენი; 8. გლორია; 11. ტრამვაი; 14. არითმეტიკა; 15. ლესელიძე; 16. ტელევიზია; 17. მარიხი; 19. აზნაური; 21. სიამი; 22. ურანი.

**თარაზულად:** 1. აკაპულკო; 5. ქაჯი; 7. ელგუჯა; 9. კლეპტომანია; 10. მატრონა; 12. ონტარიო; 13. პარხალი; 16. ტრაილერი; 17. მახა; 18. ჰალვა; 20. ახმეტელი; 22. უფიცა; 23. ბადახში; 24. ზედაშე; 25. მარკა.

# როგორია 2017–2018 წლის მოდის ტენდენციები?

მოდა – ეს სიტყვა გვესმის ყოველდღე. მიუხედავად ამისა, არასოდეს გვბეზრდება მასზე საუბარი. რატომ? იმიტომ, რომ მოდის უმთავრესი კომპონენტი ცვლილებებსა და სიახლეებს ეხება.

ყველაზე დიდ გავლენას ჩვენზე მომღერლები, მსახიობები და, რა თქმა უნდა, ის დიზაინერები ახდენენ, რომლებიც გამუდმებით რჩევა-დარიგებას გვაძლევენ, თუ რა ჩავიცვათ, როგორ შევიმოსოთ და როგორ გავხდეთ ელეგანტურები.

მოდის მნიშვნელობა თითოეული ადამიანისთვის განსხვავდება. ზოგისთვის მოდა ის არის, რაც მოსწონს ან რაშიც თავს კომფორტულად გრძნობს, ზოგისთვის – უახლესი კოლექციები ცნობილი დიზაინერებისგან ან მხოლოდ ხელოვნება.

რას ფიქრობს და როგორია მოდის უახლესი ტენდენციები, ვინ არის ყველაზე მოდურად ჩაცმული ქართველი პოლიტიკოსი ქალბატონი? – ამ და ბევრ საინტერესო საკითხზე „ახალ თაობას“ ამერიკიდან დაბრუნებული დიზაინერი ნინო ქორთოშიძე ესაუბრება.

**ნინო ქორთოშიძე, დიზაინერი:**

– მოდა გვკარნახობს, როგორ ჩავიცვათ, რა ფერებში შევიმოსოთ და მინდა გითხრათ, რომ ამერიკაში უკვე ცნობილია 2018 წლის მოდა. საქართველოში, როგორც ყოველთვის, გვიან შემოდის ის ტენდენციები, რომელსაც მოდა ჰქვია.

***– როგორია 2017-2018 წლის მოდის ტენდენციები?***

– ძალიან დახვეწილი, მრავალფეროვანი და ფერადოვანი. შემოვიდა ისეთი დეტალები, რომლებსაც აქამდე ყურადღებას არ ვაქცევდით. მნიშვნელობა ენიჭება ხელით დამუშავებულ მატერიას, რომელიც საკმაოდ ძვირი ჯდება. ძირითადი დეტალები, რომლებიც არ იცვლება, ნაწარმის ტექნიკური ელემენტებია, მაგალითად, ხავერდი და გიპიურის დეტალები შეიცვალა მყარი ელემენტებით.

***– რაც შეეხება ფერებს, წელს რომელი ფერი იქნება აქტუალური?***

– ცისარტყელას ფერები. ძალიან მოდური იქნება ფორთოხლისფერი. ასევე, ყვითელი, რომელიც სიწითლეში გადადის. აქტუალურია აქსესუარები, სამოსზე განთავსებული ბევრი ღილი, ბისერი, გაგიკვირდებათ, მაგრამ, როგორც ქალბატონებშია აქტუალური, ასევე – მამაკაცებშიც.

***– ბეწვი კვლავ მოდაშია?***

– ბეწვი ყოველთვის მოდაში იყო და იქნება. პირადად მე ვერიდები ნატურალურ ბეწვს, რადგან, ვფიქრობ, რომ არაესთეტიკურია და ჩემთვის მიუღებელიც. პრინციპში, ახლა ძალიან მოდაშია ხელოვნური ბეწვი ნატურალურის ეფექტით. ბეწვის ტექნოლოგიებია შეცვლილი, რომელიც მუშავდება ძალიან მაღალ დონეზე.

რაც შეეხება 2018 წლის მოდას, ამერიკაში უკვე გაიმართა „ფეშენ ვიკი“, სადაც წარმოდგენილი იყო ქუჩის ტრენდები. ისინი წინასწარ გვამცნობენ, თუ როგორი იქნება ქუჩური მოდა.

***– რას ნიშნავს ქუჩური მოდა?***

– ქუჩური ანუ ყოველდღიური, დახეული ჯინსი, რომელიც საქართველოში ყველას ძალიან გვიყვარდა, თუმცა მოდაში აღარ არის.



***– დახეული ჯინსი რით შეიცვალა?***

– დახეული ჯინსი შეიცვალა სწორი შარვლით. ასევე მოდაში შემოდის შლაქსი. სხვათა შორის, ნინა წკრიალაშვილს ეცვა ერთ-ერთ გადაცემაში და ძალიან უხდებოდა. საერთოდ, ძალიან მომწონს მისი ჩაცმულობა, რადგან ყოველთვის გემოვნებითა და მოდურად იცვამს.

***– კიდევ ვისი ჩაცმულობა მოგწონთ?***

– გემოვნებით იცვამს გია სურამელაშვილი და გეტყვით, რატომ. გიას ძალიან უხდება ის სტილი, რომელსაც იცვამს, კლასიკური, დახვეწილი, ძვირადღირებული ნაჭრებისგან შექმნილი კოსტიუმები და, რაც ყველაზე მთავარია, მისი ასაკის შესაფერისად. ხაზს ვუსვამ მის სამოსს, რომელიც საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. მომწონს ნინო ჩხეიძის სტილი, თავს უვლის, აცვია დახვეწილად, იცის, სად რა კოსტიუმი ჩაიცვას და მისი ჩაცმულობა მეტყველებს იმაზე, რომ მაყურებელს, მსმენელს პატივს სცემს, თუმცა აქსესუარების მხრივ ძალიან გადატვირთულია და შეიძლება, ამ მხრივ შეიცვალოს.

***– პოლიტიკოს ქალბატონებზე რას გვეტყვით, გვყავს მოდური პოლიტიკოსები?***

– მოდური პოლიტიკოსი არ გვყავს. ყველას პიჯაკებში ვხედავ, ყველა ერთფეროვანია, თითქოს ერთმანეთს ჰგვანან.

***– რომელი პოლიტიკოსი ქალბატონის იმიჯზე იზრუნებდით?***

– დიდი სიამოვნებით ვიზრუნებდი ეკა ბესელიას იმიჯზე.

***– რატომ ბესელია და არა სხვა?***

– დახვეწილი ქალბატონია, მაგრამ მასში უფრო ქალს ვხედავ, ვიდრე არის.

***– რას შეუცვლიდით?***

– ყველაფერს შევუცვლიდი, უფრო თანამედროვეს გავხდიდი, მკაცრი იმიჯი აქვს შექმნილი და მე უფრო მისგან სინაზის ეტალონს შევქმნიდი, მის პიჯაკებსაც სხვა დატვირთვას მივცემდი და რადიკალურად სხვანაირი იქნებოდა.

# ავსტრალიელმა სელფი მოღიმარ კვოკთან გადაიღო



ავსტრალიელმა ახალგაზრდამ სელფის კვოკთან გადაღება მოახერხა. სიცოცხლით სავსე და ხალისიან ცხოველთან გადაღებული ფოტოსურათები მან სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ აკაუნტში განათავსა.

კემპბელ ჯონსი, რომელიც ქალაქ პერტის ერთ-ერთ გარეუბანში ცხოვრობს, კვოკს კუნძულ როტნესტზე ველოსიპედით სეირნობის დროს გადააწყდა.

ავსტრალიელის თქმით, კვოკი მას დიდხანს დასდევდა უკან და პრაქტიკულად თავად ითხოვდა ფოტოსესიაში მონაწილეობას, როდესაც კამერის ობიექტივს ახტებოდა. კადრებში ცხოველი არა მხოლოდ პოზიორობდა, არამედ „იღიმებოდა“ კიდეც.

ფოტოსურათები ჯონსის აკაუნტში დაახლოებით ორი კვირის წინ იქნა განთავსებული, თუმცა ინტერნეტ-მომხმარებლების ყურადღება მხოლოდ ახლახან მიიპყრო.

კვოკა, ანუ მოკლეკუდიანი კენგურუ სეტონიქსების რიგის ერთადერთი წარმომადგენელია კენგურუსნაირთა ოჯახში. ცხოველი დიდი კატის, ან საშუალო ძაღლის ზომის იზრდება. ის ბინადრობს კუნძულებზე როტნესტი, ბალდი, პინგვინი და დასავლეთ ავსტრალიის ალბანის რაიონის რამდენიმე იზოლირებულ კონტინენტალურ მონაკვეთზე.

ბოლო წლები კვოკები დიდი პოპულარობით სარგებლობენ ტურისტებს შორის, მათი ფოტოგენურობის და ადამიანების მიმართ კეთილგანწყობის გამო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ნინო მაჩაიძე პლასიდო დომინგომ ბარსელონაში მიიწვია



ქართველი სოპრანო ნინო მაჩაიძე, რომელსაც ანჯელინა ჯოლის ადარებენ, მსოფლიოში აღიარებულმა საოპერო მომღერალმა პლასიდო დომინგომ ბარსელონაში მიიწვია.

პირველ და ოთხ მარტს ბარსელონის დიდ თეატრ ლისცეუში ქართველი სოპრანო ნინო მაჩაიძე მასნეს ოპერა „ტაისიში“ იმღერებს.

ნინო ბარსელონაში პლასიდო დომინგოს მიწვევით წარდგება მსმენელის წინაშე და მას პარტნიორობას თავად პლასიდო დომინგო გაუწევს.

ოპერა მსოფლიოს საოპერო თეატრებში იშვიათად იდგმება, რადგან ტაისი ერთ-ერთ ურთულეს პარტიად არის მიჩნეული და ვირტუოზულ შესრულებას მოითხოვს.

# ირაკლი ფირცხალავა მამა სერაფიმემ სტიქარით შემოსა



რუსეთში მოღვაწე მომღერალი ირაკლი ფირცხალავა სტიქარით შეიმოსა. ირაკლის რუსეთში წარმატებული კარიერა აქვს, თუმცა საქართველოში ჩამოვიდა და სტიქარი მამა სერაფიმესთან ჩაიცვა.

მცხეთის რაიონის სოფელ ქანდაში ცამეტი ასურელი მამის სახელობის ეკლესიაა, სადაც მამა სერაფიმ ბით-ხარიბი მოღვაწეობს. სწორედ მამა სერაფიმემ შემოსა მომღერალი სტიქარით:

– მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის. ირაკლი ფირცხალავა შევმოსე სტიქარში. სიმართლე რომ ვთქვა, არ მეგონა, ასეთი განათლებული თუ იყო, სანამ გავიცნობდი და, რომ გავიცანი, გამაოცა მისმა თეოლოგიურმა განათლებამ. თუ ამდენი წელიწადი ის აღმსარებელი იყო, არც კი ვიცოდი. ღმერთმა დაგლოცოს, ჩემო ირაკლი. ადიდე ღმერთი უფალი!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**


## ტურმალინის ყელსახვევი – 20 ლარი



ჩვენებები:
- კისრის ოსტეოხონდროზი
- დაჭიმულობა, ნაღძობი, კისრის ტრავმები
- სხვადასხვამიზეზითგამოწვეული თავის ტკივილი
- ყველასთვის, ვინც ბევრს ზის და ცოტას მოძრაობს;

ეფექტურად მოქმედებს გაციებების დროს

## ტურმალინის ქამარი – 35 ლარი



დანიშნულება:
- საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებები
- ხერხემლის ოსტეოხონდროზი
- ტკივილები წელის არეში
- მალებს შორის დისკოს თიაქარი
- რადიკულიტი, ნევრალგია
- ამინდის ცვლილებასთან დაკავშირებული ტკივილები
- თიაქარი

## სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად



- ხმის გაძლიერება 50
- ხმის რეგულირება
- ერგება ორივე ყურზე
- პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი
- კომპლექტშია მოწყობილობა 1ც
- რბილი რეზინები ყურებისათვის
- ელემენტები.
- ყუთი

## ტურმალინის სათვალე – 20 ლარი



ჩვენებები:
- მხედველობისგაუმჯობესება
- კატარაქტის საწყისი სტადიები
- თვალის სიწითლე
- ხსნის მუქ წრეებს თვალის გარშემო
- თვალებისდაღლილობა კომპიუტრთან ხანგრძლივად ყოფნის დროს
- ახლომხედველობა
- შაკიკი
- აუმჯობესებს ძილს

## წონის კორექციის სუპინატორი – 30 ლარი



ჩვენებები:
- წონის კორექცია
- ცივი ფეხები
- ფეხების დაბუჟება
- ფეხების შეშუპება
- აუმჯობესებს ფეხებში სისხლის მიმოქცევა

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79. (უკანა მხარე)
579 885 996
ქ.ზესტაფონი, რუსთაველის №158

მიწოდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე
ანგარიშის ნომერი: GE79BG0000000327063600 ი.ზ


## სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ალეკო, შვილები ნინო, ნანა ჭყონიები, სიძე ალექსანდრე, შვილიშვილები გიორგი, სალომე რატიშვილები, მამიდაშვილი მანანა ფირცხალავა ოჯახით, ძმისშვილები მარინა, გუგა, გიორგი გეგენავები ოჯახებით, მძახლები ლიანა, თამაზ რატიშვილები იუწყებიან

**ლიანა შალვას ასულ გეგენავას**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 28 თებერვალს, 1 მარტს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 2 მარტს, 15 საათზე.
მისამართი: მიცკევიჩის ქუჩა №11.

---

ვიზიარებთ საშა (ალექსანდრე) არჩაიას დის, ქალბატონი

**ლოლა არჩაია-წერეთლის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს.
*შორენა ბუკია, გურამ კვიკვინია, ბადრი ლომაია*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

ოთხშაბათი
1 მარტი

07.00 დოკ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" 08.00 "მადაგასკარის პინგვინები" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.30 "სპორტის დაფა" 12.45 "კაცების დრო" 13.45 "ტელემანი" 14.00 "ფერმა" 14.30 "დღე მუზეუმში" 15.00, 03.10 "x სტუდია" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 "რეალური სივრცე" 21.00 ტ/სერ. "**ველვეტი**" 22.00 "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად 23.00 მხ/ფ "**მკურნალი ადამსი**" 01.00 მხ/ფ "**ჰალკი**"(ნ.ნოლტი)

08.00 დ/ფ "ვისკის საიდუმლო" 09.00 დ/ფ "ქვეყანა ბავშვების გარეშე" 10.00 "გეოფაქტორი" 10.20 დ/ფ "მონსანტოს თვალით დანახული სამყარო" 12.00 ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00 დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" 15.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00 ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო" 01.00 მხ/ფ "**ტყუილის გამოგონება**" (ჯ.გარნერი)

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.10 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**პატარძალი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" 10 სერ. 18.45 , 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 სერ. "**იმედის ქარი**" 6 სერ. 00.45 მხ/ფ "**უმშვენიერესი მარცვლები**" 03.25 მხ/ფ "**სილამაზე ამერიკულად**"

06.00, 16.55 სერ. "**ოქროს გალია**" 06.45, 20.10 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 19.00, 20.03 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 22.00 ნანუკას შოუ 23.30 გააცინე და მოიგე

08.00 ან/სერ. "ატომი" 09.00, 19.00 სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" 11.00 სერ. "**მშობლები**" 13.00 სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" 15.00 მხ/ფ "**აკრძალული ილეთი**" 17.00 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 21.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 22.00 მხ/ფ "**საწვრთნელი დღე**" 00.20 მხ/ფ "**საქვაბე**" 02.35 მხ/ფ "**საჰაერო ციხე**"

06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.30 დ/ფ "გზა მაცხოვრისა" 11.20 ბიბლია ბავშვებისათვის 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 თბილისის ტაძრები "ლურჯი მონასტერი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ან/ფ 15.30 წმინდა ანდრია კრიტელის დიდი კანონი-(საკითხავი) 15.45 წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება 16.00 დ/ფ "ველური ბუნება" 16.30 წმინდა ანდრია კრიტელის დიდი კანონი-(მსახურება) 17.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**ჩაკლული სული**" 20.40 ძილი ნებისა "ჩიპოლინო" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ღვთის სახლი 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 ღვთის სახლი 00.25 ისტორიის დღიური 01.00 დ/ფ "გზა" I სერ. 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "მაშა და დათვი" 7.50 "ქვიშის ზღაპარი" 8.00 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 10.00, 2.00 სერ. "**ორი გული**" 11.00 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 დისქავერი "ქალი,კაცი,ბუნება" 14.30, 15.30 სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.00 სერ. "**მარისა**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.50, 20.55 სერ. "**ვერონიკა**" 19.50 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 21.50 სერ. "**გემი**" 23.15 სერ. "**ესკობარი**" 1.30 "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

1 მარტისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.5837

ევრო — 2.7351

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.209

100 რუსული რუბლი — 4.4784

**ამინდის პროგნოზი 1 მარტისთვის**






## 28 თებერვლიდან

### ჩემი პირველი პოეზიის ანთოლოგია

წიგნში შეტანილია მრავალფეროვანი ილუსტრაციებით დატვირთული 87 ქართველი პოეტის 293 საბავშვო ლექსი, რომლებიც დალაგებულია ასაკისა და თემატიკის მიხედვით. იგი დაეხმარება ბავშვს სიტყვათა მარაგის დაგროვებასა და აქტიურად გამოყენებაში.

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**

## 1 მარტიდან



რეზო თაბუკაშვილი

### 13 დღე

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 10 მარტიდან

120 ამბავი

### ალექსანდრე მაკედონელი



**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**



## 3 მარტიდან

გია ბულაძე

### 200 ამბავი მხატვრობაზე

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## იუმორი

დედა ქალიშვილს ეუბნება:

– შვილო, ყოველდღე ახალი მეგობარი ჯარისკაცი გყავს! ასე როგორ შეიძლება, ერთი ამოირჩიე და მასთან ერთად ისეირნე.

– არ შემიძლია, რომელი ნაწილიდან გამოუშვებენ ყოველდღე ერთსა და იმავე ჯარისკაცს?

•••

კაცმა ფირმა გახსნა. პირველი დღეა ოფისში. ამ დროს კარის ზღურბლზე ვიღაც მამაკაცი გამოჩნდება. „კლიენტია" გაიფიქრა კაცმა, ხელი ტელეფონის ყურმილს სტაცა და საუბარი დაიწყო:

– არა, დღეს არ გამოვა... არა, არანაირად... ძალიან ბევრი შეკვეთა გვაქვს... შეიძლება ერთ თვეში მოგიხერხოთ... კარგით, რიგში ჩაგწერთ!

ყურმილი დაკიდა და სტუმარს მიუბრუნდა:

– მომიტევეთ! იმდენი კლიენტი გვყავს! რითი შემიძლია გემსახუროთ?

– ხაზის ჩასართავად ტელეფონისტი თქვენ გამოიძახეთ?

•••

ქალი კაცს ეუბნება:

– ჩვენ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ. ასე აღარ შემიძლია, საერთოდ ველარ მამჩნევ.

– ვინ არის აქ?!

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, ახლა მე შენ უბედნიერეს ადამიანად გაგხდი!

– ძვირფასო, ძალიან დამაკლდები!

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## ვიქტორ ჰიუგო

# საბრალონი

| 23 თებერვლიდან ტომი I | 27 თებერვლიდან ტომი II | 2 მარტიდან ტომი III | 6 მარტიდან ტომი IV |
|---|---|---|---|
|  |  |  |  |
| ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი |

## პიკემ ესპანელი მსაჯები კიდევ ერთხელ გააკრიტიკა



ბარსელონის ცენტრალურმა მცველმა ხერარდ პიკემ ესპანელ მსაჯებზე კიდევ ერთხელ ისაუბრა და თქვა, რომ ისინი რეალს გაჩემპიონებაში ყველანაირად ეხმარებიან.

პიკემ ყურადღება გაამახვილა ვილიარეალთან მატჩზე, სადაც რეალის სასარგებლოდ პენალტი დანიშნეს.

ბარსელონის მცველი დარწმუნებულია, რომ ეს ყველაფერი შემთხვევით არ ხდება და სეზონის ბოლომდე ასე გაგრძელდება.

– რეალს მსაჯები ეხმარებიან. ეს უკვე აშკარაა. რაც შეეხება ბარსელონას, ჩვენ მსაჯების გამო უკვე რამდენიმე მნიშვნელოვანი ქულა დავკარგეთ. ვფიქრობ, საფეხბურთო ფედერაციაში რეალის ჩემპიონობა უნდათ, მაგრამ ჩვენ მაინც ბოლომდე ვიბრძოლებთ, – განაცხადა პიკემ.



## ალეგრი: „ბონუჩისთან კონფლიქტი აღარ მაქვს"



იუვენტუსის მწვრთნელმა მასიმილიანო ალეგრიმ ცენტრალურ მცველ ლეონარდო ბონუჩისთან კონფლიქტზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს საკითხი ამოწურულია.

ბონუჩის თავის მწვრთნელთან შელაპარაკება ყველას თვალწინ მოუვიდა, რის გამოც ალეგრიმ ბონუჩი დასაჯა და ლეონარდოს რამდენიმე მატჩის გამოტოვება მოუხდა. მიუხედავად ამისა, ალეგრის თქმით, ეს ყველაფერი წარსულში დარჩა.

– ბონუჩი შესანიშნავი ფეხბურთელია და იუვენტუსს ის ძალიან სჭირდება. ვაღიარებ, რომ მასთან კონფლიქტი მქონდა, მაგრამ ეს წარსულში დარჩა და ლეონარდო კვლავინდებურად ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს, – განაცხადა მასიმილიანო ალეგრიმ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## მელანია და ივანკა ტრამპები საგუბერნატორო მეჯლისს დაესწრნენ



აშშ-ის პირველი ლედი მელანია ტრამპი და ქვეყნის პრეზიდენტის ქალიშვილი ივანკა ტრამპი ვაშინგტონში საგუბერნატორო მეჯლისს დაესწრნენ. ამ ინფორმაციას ადგილობრივი პრესა ავრცელებს.

ეს პირველი ღონისძიებაა, რომლის ორგანიზება მელანია ტრამპმა თავის ახალ ამპლუაში მოაწყო. წვეულების თემა გახლდათ „გაზაფხულის განახლება".

ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემის მიერ გამოქვეყნებული სურათებით რთული სათქმელია, თუ რომელი კაბა შეარჩია პრეზიდენტის მეუღლემ მეჯლისისთვის, რადგანაც, მისი სრული ფოტოსურათი არ არსებობს. გამოცემა არ გამორიცხავს, რომ ეს მიზანმიმართულად გაკეთდა: შესაძლოა, პირველმა ლედიმ ჩათვალა, რომ ბოლო დროს მისი ჩაცმულობის მიმართ მეტისმეტად გაზრდილი იყო ინტერესი. მეორე ვერსიით კი, უბრალოდ ტრამპს არ სურდა „ოსკარებს" გაჯიბრებოდა (ცერემონია იმავე საღამოს მიმდინარეობდა).

რაც შეეხება ივანკა ტრამპს, როგორც ჩანს, მას პრესის ყურადღება დიდად არ ადარდებდა. პრეზიდენტის ქალიშვილმა ფოტოსურათი ინსტაგრამში გამოაქვეყნა, რომელშიც ის მეუღლე ჯარედ კუშნერთან ერთადაა აღბეჭდილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ავადმყოფის გასინჯვა სხეულზე თითების ან სპეციალური ჩაქუჩის კაკუნით; 2. სარეკლამო ლოზუნგი; 3. კვების გარკვეული რეჟიმი; 4. ოპერა „აბესალომ და ეთერის" პერსონაჟი; 5. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული; 10. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 11. ესპანელი მწერალი; 12. ძვირფასი ქვების ძველებური საერთო სახელწოდება; 15. მოძღვრება ხეხილის ჯიშების შესახებ; 16. ქართული ტელეკომპანია; 17. სხეულის წონასწორობის პირობების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 20. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია.

**თარაზულად**: 6. განდიდების მანია; 7. დარბაზის ფეხბურთი; 8. უდაბნო ჩილეში; 9. ყაზახეთის დედაქალაქი; 13. იაპონური ბრინჯის არაყი; 14. სოციოლოგიური კვლევის ამერიკული ცენტრი; 18. მყვინთავთა ჰერმეტული კოსტიუმი; 19. დიპლომატიური წარმომადგენელი; 21. ჰაერში ასაშვები მეტეოროლოგიური ბურთი; 22. ებრაული წესით დაყენებული ღვინო; 23. მეთერთმეტე საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი, მონასტერი კასპის რაიონში; 24. მეცნიერული ნაშრომი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

